პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 298 (9766) | შაბათი, 19 დეკემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
რაიონული და საქალაქო გაზეთების რედაქტორების რესპუბლიკური თათბირი (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის შეუფასებლობის შედეგი (მე-2 გვერდი).
ფართოდ დანერგოთ სოფლის მეურნეობაში ყოველივე ახალი, მოწინავე, პროგრესული (მე-2 გვერდი).
ანატოლი კალინინი. — საშუალო დონეზე (მე-2 და მე-3 გვერდი).
სადღეისო თემაზე. — სახლმმართველობა (მე-3 გვერდი).
თბილისის ახალი მშენებლობანი. — „უკანასკნელ“ უბანზე (მე-3 გვერდი).
მოსწავლეთა მეგობრული მიმოწერა (მე-3 გვერდი).
საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის გაფცხადება (მე-3 გვერდი).
საბჭოთა კავშირ-გერმანიის შერეული კომისიის მორიგი სხდომა (მე-3 გვერდი).
ფინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის შედეგების გამო (მე-3 გვერდი).
საბჭოთა მსახიობების კონცერტი პარიზში (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მომზადებული შევხვდეთ ახალ სამეურნეო წელს

ძლევამოსილი საბჭოთა ხალხი წარმატებით განაგრძობს თავდადებულ პატრიოტულ შრომას მიმდინარე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის. სოციალისტური შეჯიბრების მასობრივად გაშლის, შრომის გაუმჯობესებული მეთოდების დანერგვისა და ნაკლოვანებებთან შეურიგებელი ბრძოლის გაჩაღების შედეგად ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა ვადაზე ბევრად ადრე გაანაღდეს წლიური საწარმოო დავალებები, საამაყო მაჩვენებლებს მიაღწიეს შრომის ნაყოფიერების ზრდაში, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაში, ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებაში.

ჭიათურელ მაღაროელთა მოწინავე რაზმმა — ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა, რომელიც წარმატებით ინარჩუნებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას, 1 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა მადნის გამოღების წლიური დავალება. პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე ტყვარჩელ-ქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა, რომელიც ახლა წლიური გეგმის გადამეტებით გვაძლევს ქვანახშირს. კიდევ უფრო კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს „ახალციხექვანახშირის“ პირველი შახტის მეშახტეებმა, რომლებმაც 1953 წლის გეგმა 26 ოქტომბრისათვის შეასრულეს და მას შემდეგ ქვანახშირს გეგმის გადამეტებით გვაძლევენ.

არანაკლები წარმატებები აქვთ მსუბუქი და კვების მრეწველობის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებს, რომლებიც გვიჩვენებენ ფართო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის სიუხვისათვის ბრძოლის მაგალითებს, პროდუქციის ხარისხის ამაღლების ნიმუშებს. აღსანიშნავია ამ მხრივ თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის, მაკარონის ფაბრიკის, მოლოტოვის სახელობის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის, საავეჯო და ჰიგროსკოპიული ბამბის საწარმოს და მთელი რიგი სხვა საწარმოების მაღალნაყოფიერი, რიტმული მუშაობა.

მაგრამ ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოწინავე საწარმოთა გვერდით არიან ჩამორჩენილი საწარმოები. მაგალითად, ქვანახშირის მრეწველობაში გამართულად და რიტმულად ვერ მუშაობს ყველა შახტი, ყველა უბანი, წარმოების ყველა რგოლი. ამის შედეგი არის ის, რომ ჩვენი რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობა ჯერ კიდევ მთლიანად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას ენერგეტიკულ და კოქსვად ქვანახშირზე, ჩამორჩენაა მთელი რიგი შახტებიდან ქვანახშირის ტრანსპორტირებაში. იგივე უნდა ითქვას ფართო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის საწარმოთა შესახებ. ჯერ კიდევ ვერ მუშაობენ გამართულად ჩვენი საკონდიტრო ფაბრიკები, პურსაცხობი ქარხნები, საფეიქრო ფაბრიკები. ფეხსაცმლის მრეწველობა და ა. შ.

ახალი სამეურნეო წელი მოახლოებულია. საწარმოთა კოლექტივების ამოცანაა სრული მზადყოფნით შეხვდნენ 1954 წელს, ყველა სიძნელეთა მიუხედავად უზრუნველყონ ახალ, გადიდებულ საწარმოო დავალებათა ვადამდე და მაღალხარისხოვნად შესრულება. საწარმოთა ხელმძღვანელებმა, სამეურნეო, პარტიულმა და პროფკავშირულმა მუშაკებმა ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყონ, რომ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მსუბუქი და კვების მრეწველობის მუშაკების წინაშე დასახული ამოცანა — უახლოესი 2-3 წლის განმავლობაშივე უზრუნველყონ ფართო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის სიუხვე, გადაჭრით გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, — მათგან მოითხოვს უზრუნველყონ უფრო მოქნილად, უკეთესად, თანდათან მზარდი მაჩვენებლებით მუშაობა. ლოზუნგი — ვიმუშაოთ დღეს უკეთესად, ვიდრე გუშინ ვმუშაობდით და ხვალ კიდევ უკეთესად, ვიდრე დღეს ვმუშაობთ, — არასოდეს ისე აქტუალურად არ მდგარა საწარმოთა კოლექტივების მუშაობის დღის წესრიგში, როგორც ახლა.

საბჭოთა ქვეყანაში ყველა საწარმოს, რა ხასიათისაც უნდა იყოს იგი, ყველა პირობა აქვს გამართულად და კარგად მუშაობისათვის. საჭიროა მხოლოდ, რომ ამ საწარმოებს სათავეში ედგნენ თადარიგიანი მუშაკები, ისეთები, რომლებსაც გული შესტკივათ საქმისათვის, გამსჭვალული არიან არა ვიწრო უწყებრივი, არამედ სახელმწიფოებრივი ინტერესებით.

ახალი სამეურნეო წლისათვის გულდასმით მომზადება ნიშნავს იმას, რომ წინასწარ გავითვალისწინოთ საწარმოო დავალებათა შესრულების შემაფერხებელი ყველა მოსალოდნელობა, აქედანვე წარვმართოთ საქმე ისე, რომ ვერავითარმა შემთხვევითობამ მოუმზადებელს ვერ მოგვისწროს, უზრუნველყოთ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა დარაზმვა გეგმების გასანაღდებლად, პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად, შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად და თვითღირებულების შესამცირებლად.

ცნობილია, რომ რა მაღლაც უნდა იდგეს საწარმოს ტექნიკური აღჭურვილობის დონე, ამით თავისთავად არ გადაწყდება საწარმოო დავალებათა შესრულების საკითხი. მაღალ ტექნიკასთან ერთად საჭიროა ადამიანთა მტკიცე დარაზმულობა, ორგანიზებულობა. თბილისეს 26 კომისრის მანქანათმშენებელი ქარხნის ხელმძღვანელებმა, რომლებმაც გარდა იმ ნომენკლატურული პროდუქციისა, რასაც წელს გვაძლევენ, 1954 წელს უნდა მოგვცენ ტრანსფორმატორები და ფართო მოხმარების ისეთი საქონელი, როგორიც არის საბავშვო ეტლები, დასაკეცი საწოლები და ა. შ., დაამუშავეს ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები მომავალი წლისათვის. მაგრამ ამ ღონისძიებებში გათვალისწინებული არ არის ისეთი „წვრილმანი“, როგორიც არის სამუშაო ადგილების თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაფერისად მოწყობა, ვ. კოლესოვის მეთოდით მუშაობის ფართოდ დანერგვა, მოწინავე სტაჰანოველთა მუშაობის საუკეთესო გამოცდილების გავრცელება, ტექნოლოგიური პროცესების გამარტივება და გაუმჯობესება, ტექნიკური პროპაგანდის გაძლიერება და ა. შ.

ახალი სამეურნეო წლისათვის მზადების დროს საწარმოთა სამეურნეო, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საყოფაცხოვრებო პირობების გადაჭრით გაუმჯობესების ამოცანებს.

საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკები პარტიისა და მთავრობის მიერ მათს წინაშე დასახული დიდი ამოცანების შესრულებაში შემოქმედებითი ინიციატივის გამოჩენის მრავალ საყურადღებო მაგალითს გვაძლევენ. ფართოდ გამოვიყენოთ მასების ეს შემოქმედებითი თაოსნობა, უყურადღებოდ არ დავტოვოთ არც ერთი საქმიანი წინადადება, უნარიანად ჩავუდგეთ სათავეში მასებს ახალი სამეურნეო წლის გადიდებულ საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. აქეთკენ არიან ახლა მოწოდებული საწარმოთა სამეურნეო, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა ვადამდე შეასრულეს წლიური გეგმა

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს რესპუბლიკურმა საწარმოებმა, საქალაქო და რაიონულმა სამრეწველო კომბინატებმა 1953 წლის 1 დეკემბრისათვის 100,2 პროცენტით შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. საერთო პროდუქციის გამოშვების ზრდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეადგენს 17,5 პროცენტს.

სამინისტროს საწარმოების, აგრეთვე საქალაქო და რაიონული სამრეწველო კომბინატების კოლექტივებმა იკისრეს წლის ბოლომდე მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოუშვან პროდუქცია წლიური გეგმის გადამეტებით.

გუშინ ჭიათურელმა მაღაროელებმა შეასრულეს წლიური გეგმა

ჭიათურა. (ტელეგრაფით „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). ჭიათურელმა მაღაროელებმა, რომლებიც უკრაინელ თანამოძმეებს ეჯიბრებიან, 18 დეკემბრისათვის შეასრულეს მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის გამოშვების წლიური პროგრამა. მაღაროელები გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცემენ რამდენიმე ათეულ ათას ტონა ძვირფას მადანს.

ჩვენს დიად სამშობლოში

★ ★ ★

დაიწყო მეცადინეობა საუბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში

დამთავრდა ახალგაზრდობის მიღება მოსკოვის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში. ჩარიცხულია ორი ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი. მათგან ნახევარზე მეტს დამთავრებული აქვს შვიდწლედი.

სწავლის განმავლობაში მოსწავლეები მიიღებენ კვალიფიციურ მშენებელთა სპეციალობებს. დიდი ყურადღება ექცევა ორ-ორი მომიჯნავე პროფესიის მქონე მუშების მომზადებას. მშენებლების გარდა სასწავლებლები ამზადებენ სხვა პროფესიების მუშებს. № 54 საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლაში მოსწავლენი მიიღებენ მეტრომშენის გვარბგამყვანის სპეციალობას, № 45 საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლაში — რეზინის ფეხსაცმლის მწებავის სპეციალობას. № 42 საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლაში სწავლების ექვსთვიანი ვადის ნაცვლად შემოღებულია ათთვიანი ვადა. აქ მომზადებენ ავტომობილის შემკეთებელ ზეინკლებს.

ამჟამად ყველა საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლაში დაიწყო მეცადინეობა. (საკდესი).

ქართველი დრამატურგის პიესა აშხაბადის თეატრის სცენაზე

აშხაბადი, 17 დეკემბერი. (საკდესი). ა. ს. პუშკინის სახელობის რუსულმა დრამატულმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა ახალი ნამუშევარი — მ. ბარათაშვილის კომედია „ჭრიჭინა“. სპექტაკლი დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა ბ. ფრეიმანმა, გააფორმა მხატვარმა ე. ბელოვმა. ცეკვები დადგა ბალეტმაისტერმა ბ. ზდანევიჩმა.

სპექტაკლს მაყურებლები გულთბილად შეხვდნენ.

დ. დ. შოსტაკოვიჩის მეათე სიმფონია

ლენინგრადი, 18 დეკემბერი. (საკდესი) გუშინ ლენინგრადის ფილარმონიაში პირველად იქნა შესრულებული დ. დ. შოსტაკოვიჩის მეათე სიმფონია, რომელიც კომპოზიტორმა ამ ცოტა ხნის წინათ შექმნა.

ახალი ნაწარმოები შეასრულა რესპუბლიკის დამსახურებულმა კოლექტივმა — ფილარმონიის სიმფონიურმა ორკესტრმა რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ე. ა. მრავინსკის დირიჟორობით.

უძლიერეს შვანგისტთა საკავშირო შეჯიბრება

სვერდლოვსკი, 17 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ აქ დამთავრდა შეჯიბრება სსრ კავშირის გუნდურ პირველობაზე ძალოსნობაში. უკანასკნელ დღეს გამოდიოდნენ შძიმე წონის შტანგისტები. პირველი ადგილი ამ წონითს კატეგორიაში დაიკავა საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა სპორტის ოსტატმა ალექსი მედვედევმა. კლასიკურ სამჭიდში მან მოაგროვა 430 კილოგრამი.

ოთხი დღის ბრძოლის შედეგად საბჭოთა კავშირის 1953 წლის ჩემპიონის წოდება ძალოსნობაში მოიპოვა მოსკოვის გუნდმა. მეორე ადგილზე გამოვიდა რუსეთის სფსრ პირველი გუნდი, მესამეზე — რუსეთის სფსრ მეორე გუნდი. შეჯიბრების მსვლელობაში დამყარებულ იქნა საბჭოთა კავშირის ხუთი ახალი რეკორდი, რომელთაგან სამი ოფიციალურ მსოფლიო მიღწევებს აღემატება.

ჩვენი ქვეყნის გუნდური პირველობის გათამაშებით შეჯამებულია ძალოსნობაში საბჭოთა სპორტსმენების მიმდინარე წლის მიღწევათა შედეგები. 1953 წელი საბჭოთა ძალოსნების შესანიშნავი მიღწევების წელი გახდა. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა გუნდმა მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება ძალოსნობაში. წლის განმავლობაში 25-ჯერ გაუმჯობესებულ იქნა საბჭოთა კავშირის რეკორდები, მათგან 18 რეკორდი ოფიციალურ მსოფლიო მიღწევებს აღემატება. მსოფლიო რეკორდების ცხრილში შეტანილია ცხრა საბჭოთა ძალოსნის შედეგები.

ახალი ელექტროსადგურები

ალმა-ატა, 18 დეკემბერი. (საკდესი). **გუშინ ჯამბულის ოლქში ამუშავდა ლუგოვოის საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგური. ელექტროენერგია მიიღეს ორმა სასოფლო-სამეურნეო არტელმა და რაიონულმა ცენტრმა ლუგოვოიმ.**

ახალი წლისათვის ამუშავდება ისიკის სახელმწიფო სასოფლო ჰიდროელექტროსადგურის მეორე რიგი, რითაც დამთავრდება ენბექში — ყაზახის რაიონის მთლიანი ელექტროფიკაცია.

მიმდინარე წელს ყაზახეთში აიგო 14 სახელმწიფო სასოფლო და საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგური და ათი თბოელექტროსადგური. განხორციელებულია 21 მანქანა-ტრაქტორთა და მეცხოველეობის სამანქანო სადგურის ელექტროფიკაცია. სოფლის მეურნეობას შეემატა 1.200-ზე მეტი ელექტრომოტორი.

საკავშირო სამეცნიერო-მეთოდური თათბირი მეცხოველეობისა და საკვების მოპოვების საკითხებზე

17 დეკემბერს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაიხსნა საკავშირო სამეცნიერო-მეთოდური თათბირი მეცხოველეობისა და საკვების მოპოვების საკითხებზე. თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებს 500-მდე კაცი.

თათბირი განიხილავს სოფლის მეურნეობის მეცნიერების ამოცანებს მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების დარგში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების მიხედვით, აგრეთვე 1954 წლის მეცნიერულ გამოკვლევათა გეგმებს. (საკდესი).

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და სპეციალისტები ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლობენ

საბჭოთა კავშირის მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლობს 150-მდე კაცი. ბევრი მათგანი დაუსწრებლად სწავლობს.

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ალტაის მხარის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი ი. ნ. კალინიჩენკო ექსპერიმენტულ მუშაობას ეწეოდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. მან შემოიღო საკვების ახალი რაციონი, რომელიც შეიცავს 85-90 პროცენტ სილოსსა და შაქრის ჭარხალს. ამ რაციონმა ხელი შეუწყო რძის ცხიმიანობის 0,35 პროცენტით ზრდას და ძროხის წველადობის გადიდებას. ახლა სასოფლო-სამეურნეო არტელში რძის წლიური წველადობა თითო ძროხაზე საშუალოდ 3.000 კილოგრამს აღწევს — 1.000 კილოგრამით მეტს, ვიდრე 1949 წელს.

ამხ. კალინიჩენკომ დაწერა დისერტაცია თემაზე: „მეწველი პირუტყვის გაუმჯობესების მეთოდი“, რომელსაც საფუძვლად დაუდო თავისი ცდები.

ახლა დამთავრდა ასპირანტურაში მიღება. ახლად მიღებულ ასპირანტთა შორის პირველი ჯგუფია დაუსწრებელი ასპირანტები, რომლებიც მუშაობენ სასოფლო-სამეურნეო არტელებში: კალინინის ოლქის კოლმეურნეობა „ბელოი ტრუდას“ თავმჯდომარე ვ. ი. ბელიაევი, კოსტრომის ოლქის კოლმეურნეობა „ვოსხოდის“ თავმჯდომარე ა. ზ. ტრეფილოვი, კიროვის ოლქის კოლმეურნეობა „ნოვი ბიტის“ თავმჯდომარე ს. ა. ერმოლენკო. (საკდესი).



უკრაინის სსრ. ქალაქ ოსიპენკოს საგზაო მანქანების ქარხანაში დაამზადეს ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანა — ნაკელმომბნევი „ნტ-2“. მანქანის წარმადობაა საათში 1-1,5 ჰექტარი. ძარის ტევადობა 3 კუბური მეტრია, ხოლო მობნევის სიგანე 2,5 მეტრს შეადგენს.

სურათზე: ნაკელმომბნევი „ნტ-2“.

ფოტო ა. კრასოვსკისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

რაიონული და საქალაქო გაზეთების რედაქტორების რესპუბლიკური თათბირი

გაიმართა რაიონული და საქალაქო გაზეთების რედაქტორების რესპუბლიკური თათბირი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს და განიხილეს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის ამხ. დ. მჭედლიშვილის მოხსენება „საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური გაზეთების რედაქტორებს სრულიად საკავშირო თათბირის შედეგებისა და რაიონული პრესის ამოცანების შესახებ“.

თათბირზე მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმი მეცხოველეობის განვითარების, კარტოფილის, ბოსტნეულის, წვნიანი საკვების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის კომპლექსური მექანიზაციის შესახებ“ გააკეთა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. მ. გიორგაძემ. საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ამხ. ა. გუნიამ გააკეთა მოხსენება „კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ამოცანები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადწყვეტილებებთან დაკავშირებით“. გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორმა ამხ. ი. ჩხიკვიშვილმა თავისი სიტყვა მიუძღვნა რაიონული და საქალაქო გაზეთების მუშაობის საკითხებს.

გაზეთების რედაქტორებმა ერთმანეთს გაუზიარეს გაზეთების ფურცლებზე სოფლის მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხების გაშუქების გამოცდილება. წითელწყაროს რაიონული გაზეთის რედაქტორმა ამხ. მოლოდინმა გააცნო თათბირს, თუ როგორ აშუქებს გაზეთი „ახალი შირაქი“ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკითხებს. სამტრედიის რაიონული გაზეთის რედაქტორმა ამხ. მ. რუხაძემ თავის მოხსენებაში ილაპარაკა, თუ როგორ აშუქებს გაზეთი „წინსვლა“ მეცხოველეობის განვითარების საკითხებს. გორის რაიონული გაზეთის რედაქტორმა ამხ. ნ. ფატარიძემ თათბირს გააცნო, თუ როგორ ეწევა გაზეთი „სოციალისტური სოფელი“ თავის ფურცლებზე სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას.

მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობა მიიღეს რაიონული და საქალაქო გაზეთების რედაქტორებმა.

თათბირის მონაწილეებისათვის წაკითხულ იქნა პროფესორ გ. ჯაფარიძის ლექცია თემაზე „სათოხნი კულტურების კვადრატულ-ბუდობრივი წესით მოყვანის აგროტექნიკა“.

საქდესის ხელმძღვანელმა ამხ. ბ. შატბეროვმა ილაპარაკა მასალებით გაზეთების უზრუნველყოფის გაუმჯობესების ღონისძიებებზე. რაიონული და საქალაქო გაზეთების პოლიგრაფიული ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ილაპარაკა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობათა და წიგნის ვაჭრობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. გ. ფოჩხიძემ.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მეკავანაძემ. (საქდესი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

სახალხო განათლება ჩინეთში

შანხაი, 16 დეკემბერი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია სახალხო განათლების განვითარებაში. გაზეთ „ძეფანციბაოს“ ცნობით, ამჟამად ჩინეთში მარტო დაწყებითს სკოლებში სწავლობს 55 მილიონზე მეტი კაცი. ეს ერთისამად აღემატება მოსწავლეთა რიცხვს 1946 წელს, როცა ეს რიცხვი ყველაზე დიდი იყო განთავისუფლებამდე მთელი პერიოდის მანძილზე. ჩინეთის საშუალო სკოლებში სწავლობს 3 მილიონზე მეტი კაცი, ე. ი. თითქმის ორნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1946 წელს.

კომუნისტურმა პარტიამ და სახალხო-დემოკრატიულმა ხელისუფლებამ ცოდნისა და განათლების გზა გაუხსნეს ჩინეთის მშრომელთა უფართოეს მასებს. ამჟამად ჩინეთის დაწყებითი სკოლების მოსწავლეთა 80 პროცენტზე მეტსა და საშუალო სკოლების მოსწავლეთა 60 პროცენტზე მეტს მუშებისა და გლეხების შვილები შეადგენენ.

ბულგარეთის დედაქალაქის კეთილმოწყობა

სოფია, 16 დეკემბერი, (საკდესი). ბულგარეთის დედაქალაქის ცენტრში სწრაფი ტემპით აგებენ მონუმენტურ საზოგადოებრივ და ადმინისტრაციულ შენობებს. უკვე წელს დამთავრდება „პარტიის სახლი“, ხოლო მომავალ წელს დიდი სასტუმრო, უნივერსალური მაღაზია, ელექტროფიკაციის სამინისტროს, მძიმე და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს შენობები.

სახალხო ხელისუფლების წლების განმავლობაში სოფიაში მშრომელებისათვის აშენდა ბევრი საცხოვრებელი სახლი. პირველი ხუთწლედის 4 წლის განმავლობაში ქალაქის სახალხო საბჭომ ააგო 1.400 ბინა. ამავე ხნის განმავლობაში უწყებებმა და სამშენებლო კოოპერატივებმა ააგეს 2.300 ბინა. მომავალ წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა 2 ათასზე მეტი ბინა.

ამჟამად სოფიის მთელი მოსახლეობა სარგებლობს უფასო სამედიცინო მომსახურებით. ქალაქში მუშაობს 22 პოლიკლინიკა. ამას წინათ გაიხსნა ახალი სამშობიაროს სახლი, ქალაქის პირველი საავადმყოფო, პირველი ქირურგიული საავადმყოფო. გაიხსნა ქალაქის 19 ახალი ამბულატორია.

დედაქალაქში ფართოვდება საქალაქო ტრანსპორტი, გაჩრა ჭუჭყიანი, მოუვლელი განაპირა უბნები. აქ აიგო ახალი წყალსადენი და კანალიზაციის ხაზები. უკანასკნელი 7 წლის მანძილზე ბულგარეთის სახალხო ხელისუფლებამ სოფიის კეთილმოწყობისათვის შეასრულა იმდენი სამუშაო, რამდენიც მონარქისტულ-ფაშისტურმა ხელისუფლებმა შეასრულეს 25 წლის განმავლობაში.

რუსული და საბჭოთა ფერწერის გამოფენა ბუდაპეშტში

ბუდაპეშტი, 16 დეკემბერი. (საკდესი). ბუდაპეშტის კაზმულ ხელოვნებათა მუზეუმის შენობაში გაიხსნა რუსი და საბჭოთა მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენა, რომელიც მოაწყო უნგრეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებამ.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ეშტვან დობი, საგარეო საქმეთა მინისტრი იანოშ ბოლდოცკი, კულტურის მინისტრი იოჟეფ დარვაში, უნგრეთის თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, უნგრეთში სსრ კავშირის საელჩოსა და სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების დიპლომატიური მისიების თანამშრომლები და სხვები.

სიტყვა წარმოთქვა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის მდივანმა ივანე დარაბოშმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამოფენის გახსნამ, რაც უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა უნგრეთის კულტურულ ცხოვრებაში, მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს უნგრეთის ახალი რეალისტური ხელოვნების ჩამოყალიბებაში.

შემდეგ გამოვიდა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი ამხ. რუდნევი, რომელმაც რწმენა გამოთქვა, რომ საბჭოთა და რუსული ეროვნული სახვითი ხელოვნების გამოფენა, რომელიც უნგრეთში მოეწყო, ახალი წვლილი იქნება საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ხალხთა მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის განმტკიცებაში.

რუმინელი ხალხის საკეთილდღეოდ

ბუქარესტი, 17 დეკემბერი. (საკდესი). რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში სერიოზული ყურადღება ეძცევა მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას. ამ უკანასკნელ წლებში მწყობრში ჩადგა 26 ახალი საფეიქრო საწარმო, ხოლო ამჟამად შენდება კიდევ 10.

ტყავის მრეწველობის საწარმოთა გაფართოების მეოხებით მისი საწარმოო სიმძლავრე 30 პროცენტით გაიზარდა. ახალი მოწყობილობის ამუშავების შემდეგ მინის წარმოება გადიდდა 40 პროცენტით, ქაშანურის ნაკეთობათა წარმოება — 130 პროცენტით, ფაიფურის ნაკეთობათა — ერთიორად.

რუმინეთში 1952 წელს გამოშვებულია: ბამბეული 90 პროცენტით, შალეული — 110 პროცენტით, აბრეშუმის ქსოვილები — 40 პროცენტით, შალის ტრიკოტაჟი — 180 პროცენტით და ფეხსაცმელი 167 პროცენტით მეტი, ვიდრე 1938 წელს.

იყენებს რა ადგილობრივ რესურსებსა და სამრეწველო საწარმოთა ნედლეულს ნარჩენებს, ადგილობრივი მრეწველობა სულ უფრო მეტ ფართო მოხმარების საქონელს ამზადებს. მიმდინარე წლის დამლეგს ადგილობრივი მრეწველობის პროდუქცია 1949 წელთან შედარებით 20-ჯერ გადიდდება. 1953 წელს ადგილობრივი მრეწველობა გამოუშვებს სამჯერ უფრო მეტ სასურსათო საქონელს, ვიდრე 1950 წელს გამოუშვა.

პარტიული ცხოვრება

თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის შეუფასებლობის შედეგი

— მილების გაგლინვისა და ჩაბარების სახელმწიფო გეგმებს ვერ ვასრულებთ, თორემ სხვა მხრივ ცუდი მაჩვენებლები როდი გვაქვს, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებას ვანაღდებთ, მასალებისა და ნედლეულის ხარჯვამიც საკმაო დანაზოგები გვაქვს, ამასთან საგრძნობლად ავამაღლეთ პროდუქციის ხარისხი, — თვითკმაყოფილებით განაცხადა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს პარტბიუროს მდივანმა ა. ვაშაკიძემ. მაგრამ როცა საქმე კონკრეტული ციფრების დასახელებაზე მიდგა, მან საგულისხმო ვერაფერი თქვა, მცირე ფიქრის შემდეგ დასძინა: — ამის შესახებ უმჯობესია საამქროს ხელმძღვანელებს ესაუბროთო.

შემოწმებით სრულიად საწინააღმდეგო დადასტურდა. მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში მილსაგლინავმა საამქრომ პროდუქციის თვითღირებულება არა თუ შეამცირა, არამედ მნიშვნელოვნად გაადიდა. მარტო მე-3 კვარტალში თვითეული ტონა მილნამზადის გაგლინვა 214 მანეთით გააძვირა, ხოლო ოქტომბერში გადახარჯვა ერთ ტონა ნაგლინზე 345 მანეთს შეადგენს. წუნდებული პროდუქციის გამოშვების გამო დიდია ლითონის გადახარჯვა. მიმდინარე წლის 10 თვეში ამ მიზეზით გადაიხარჯა 3.213 ტონა ლითონი. ამავე პერიოდში გადახარჯულია 3 მილიონზე მეტი კილოვატსაათი ელექტროენერგია. ამასთან საგლინავი მანქანა-დანადგარები და მექანიზმები 1.772 საათს მოცდა. საგრძნობლად გაიზარდა აგრეთვე ზედნადები ხარჯები.

საამქროში არიან ისეთი მგლინავები და ელექტრიკოსები, რომლებიც სხვებთან შედარებით უკეთეს ეკონომიურ მაჩვენებლებს აღწევენ. სამწუხაროდ, არავინ არ ზრუნავს მათი მუშაობის გამოცდილების პოპულარიზაციისათვის. დაწესებული არ არის ცალკეული ცვლების, უბნებისა და ბრიგადების ეკონომიური მაჩვენებლების სისტემატური აღრიცხვა და თვალსაჩინო ადგილას გამოკვრა. საამქროს მუშამოსამსახურეები დამხმარე მასალებისა და ნედლეულის გადახარჯვის ან დაზოგვის რაოდენობას მხოლოდ თვის ბოლოს შეიტყობენ ხოლმე.

საამქროს პარტიული ბიურო და მისი მდივანი ა. ვაშაკიძე პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლას რატომღაც მხოლოდ სამეურნეო ხელმძღვანელთა მოვალეობად თვლიან. ამით აიხსნება, რომ წელს აქ პარტიულ კრებებსა და ბიუროს სხდომებზე ერთხელაც არ უმსჯელიათ საწარმოს ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესების ღონისძიებებზე.

საწარმოო ხასიათის საკითხი პარტიულ კრებაზე წელს მხოლოდ 4-ჯერ განიხილეს. ოთხჯერვე მოისმინეს საამქროს უფროსის მოადგილის ლ. ოსლამენკოს მოხსენება. ერთ-ერთ კრებაზე, რომელიც ივნისში გაიმართა, ამხ. ოსლამენკოს მოხსენება ეხებოდა საამქროს მუშაობის მაისის შედეგებსა და მომავლის ამოცანებს. მოხსენებაში ლაპარაკი იყო ჩამორჩენის მიზეზებზე. კამათში მონაწილე კომუნისტების პ. ბულგაკოვის, ი. დიმენდის, დ. ბალასანოვისა და სხვების სიტყვებიც მოხსენებაში აღნიშნულის უბრალო გამეორება იყო. არც ერთ მათგანს არ დაუყენებია საინტერესო საკითხი, არ გამოუჩენია თაოსნობა. კრების მონაწილეებმა არაფერი თქვეს თვითღირებულების შემცირების ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებზე, როგორიც არის სამრეწველო მოწყობილობის ეფექტიანი გამოყენება, წარმოების სწორი, მოფიქრებული ორგანიზაცია, სამეურნეო ანგარიშის დანერგვა, სოციალისტური შეჯიბრების გაშლა მასალების, ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვისათვის, თვითეული საწარმოო ოპერაციის მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

პარტიულმა კრებამ მიიღო დადგენილება, რომელიც არაფრით განსხვავდება საწარმოო თათბირის დადგენილებისაგან. აქ უბრალოდ ჩამოთვლილია საწარმოო ღონისძიებანი, მაგრამ არაფერია ნათქვამი, თუ კერძოდ რა უნდა გააკეთონ პარტიულმა ორგანიზაციამ, კომუნისტებმა. რა გასაკვირველია, რომ კონკრეტულობას მოკლებული ასეთი დადგენილების მთელი რიგი მუხლები საბოლოოდ მხოლოდ ქაღალდზე დარჩა.

პარტიულ კრებაზე საწარმოო საკითხის განხილვისას მსჯელობენ ზოგადად, საერთოდ, და არა კონკრეტულად საწარმოო ცხოვრების ერთ რომელიმე დარგზე. ასეთ პირობებში კომუნისტებს ლაპარაკი უხდებათ მრავალ საკითხზე, საშუალება არ ეძლევათ ხელი ჩასჭიდონ მნიშვნელოვანს, ღრმად ჩასწვდნენ მას. პარტიული კრების დადგენილების ზოგიერთი მუხლი უფრო მოწოდების შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგალითად, ერთ დადგენილებაში გკითხულობთ: „პარტიული კრება ყველა კომუნისტისაგან მოითხოვს იდგეს ავანგარდში და აწარმოოს გადამწყვეტი ბრძოლა საამქროში არსებულ ნაკლოვანებებთან“. საამქროს 73 კომუნისტიდან პარტიული დავალება აქვს ოცამდე კაცს, ხოლო დანარჩენები თავიანთ საქმიანობას პარტიულ კრებებზე მხოლოდ ფორმალური დასწრებით ამოწურავენ.

დაბალ დონეზე დგას აგრეთვე პარტიულ-პოლიტიკური, მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობა. არ ჩანს პარტიული ორგანიზაციის დამრაზმავი როლი საწარმოო წარმატებათა მოპოვებისათვის ბრძოლაში.

ამის შემდეგ საკვირველი არ არის, რომ 17 დეკემბერს გამართულ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტებმა ა. ვაშაკიძე პარტიულ ბიუროს შემადგენლობაში არ აირჩიეს.

მილსაგლინავი საამქროს პარტიული ორგანიზაციის მუშაობა გვიჩვენებს, რომ პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი და მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტი სათანადო ხელმძღვანელობასა და დახმარებას ვერ უწევენ ამ საამქროს პარტიულ ორგანიზაციას.

გ. გელაშვილი,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ქ. რუსთავი.

ფართოდ დავნერგოთ სოფლის მეურნეობაში ყოველივე ახალი, მოწინავე, პროგრესული

★

საზამთრო — პირუტყვის საუკეთესო საკვები

ცნობილია, რომ ზამთრის პერიოდში პირუტყვის წვნიანი საკვებით უზრუნველყოფა საგრძნობლად ადიდებს პროდუქტიულობას. ჩვენს კოლმეურნეობაში გამოვნახეთ საზოგადოებრივი პირუტყვისათვის უხვი, იაფფასიანი წვნიანი საკვები, რითაც მთელი ზამთრის განმავლობაში უზრუნველყოფილ იქნება პირუტყვი — ძროხა, ღორი, ცხენი.

შარშან ჩვენ პირველად დავთესეთ 0,5 ჰექტარზე საკვები საზამთრო. ზამთრის პერიოდში გამოვცადეთ მისი შედეგიანობა, რამაც საუკეთესო მაჩვენებლები მოგვცა. ძროხების საშუალო წველადობა გაიზარდა 919 ლიტრამდე, წველა გაგრძელდა წლის ბოლომდე. საზამთროთი კვებამ საუკეთესო შედეგი გამოიღო ღორების ფერმაშიც. სახელდობრ, არ გვქონია გოჭების დაავადების არც ერთი შემთხვევა. დედაღორები და ნამატი გასუქდნენ. საზამთროთი კვებამ მეღორეობის ფერმაში კონცენტრირებული საკვების ეკონომია მოგვცა.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ საკვები საზამთრო მეტად ყუათიან, იაფფასიან წვნიან საკვებს წარმოადგენს. ამიტომ წელს 1,5 ჰექტარამდე გავადიდეთ საზამთროს ნათესი ფართობი.

წელს გაზაფხულზე საზამთრო დავთესეთ მზრალად ღრმად მოხნულ ნაკვეთში, გაზაფხულზე ნაკვეთში შევიტანეთ 700 კილოგრამი ფოსფორი ჰექტარზე. შემდეგ ნიადაგი ღრმად ავაოშეთ. სამსამი მეტრის დაშორებით გავაკეთეთ ბუდნები, თვითეულ მათგანში ჩავყარეთ 8 კილოგრამი ორგანული სასუქი და ჩავთესეთ 6-8 თესლი. აღმოცენების შემდეგ თვითეულ ბუდნაში დავტოვეთ 4-5 ჩითილი. ორჯერ მოვახდინეთ ბუდობრივი გაფხვიერება, სამჯერ მოვხანთ მწკრივთა შორის, ამდენჯერვე გავთოხნეთ. ივნისსა და ივლისში თითოჯერ მოვრწყეთ.

კარგი მოვლითა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროულად განხორციელებით 1,5 ჰექტარზე მივიღეთ 100 ტონაზე მეტი საზამთრო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 25,5 ტონისა. მიხეილ დევდარიძის ბრიგადამ ნახევარ ჰექტარზე მოიყვანა 60 ტონა საზამთრო. აღსანიშნავია ის გარემობა, რომ საკვები საზამთრო ძალიან დიდი იზრდება. ნაყოფის საშუალო წონა 15-20 კილოგრამს უდრის. ხშირად ვკრეფდით 40-50 კილოგრამიან საზამთროებსაც.

საკვებ საზამთროს ზამთარში ვინახავთ სპეციალურად მოწყობილი ფარდულებში. ქვეშ ვუფენთ ჩალას, წყობისად ვალაგებთ და ჩალასვე ვახურავთ. ვცდილობთ გადაზიდვისა და დაწყობის დროს არ დავუეჟოთ. პირუტყვს საკვებად ვაძლევთ დაჭრილი სახით. პირუტყვი უფრო ეტანება მოხარშულს, კარგია, როდესაც უხეშ საკვებში ვიურევთ საზამთროს წვრილად დაჭრილ ნაჭრებს.

გამოცდილებით დავრწმუნდით საკვები საზამთროს დიდ სარგებლიანობაში. ამიტომ მომავალ წელს ერთიორად გავადიდებთ საკვები საზამთროს ნათეს ფართობს.

ბ. ქამსაშვილი,

გურჯაანის რაიონის სოფელ შრომის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

მეცხოველეობის ფერმის მექანიზაცია

ვანი. (საკ. კორ.) სოფელ ქვედა ვანის კოლმეურნეობამ წელს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმისათვის სტანდარტული კაპიტალური შენობა ააგო. აქ რაიონში პირველად განხორციელდა მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. ახლა ამ ფერმაში წყლის მიწოდება, უხეშის საკვების დამუშავება, კონცენტრირებული საკვების დამზადება და დაორთქლება მექანიზებულია. ფერმა ელექტროფიცირებულია.

ამ დღეებში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროში გაიმართა რესპუბლიკური თათბირი კარტოფილის, ბოსტნეული და საკვები კულტურების წარმოების საკითხებზე. სურათზე: დიღმის საცდელი სადგურის უფროსი მეცნიერი მუშაკი ამხ. ვ. იანოვსკი (მარცხნიდან პირველი) თათბირის მონაწილეებს აცნობს კარტოფილხარგავი მანქანის მუშაობის წესს.

ფოტო შ. გოჭაძისა.

წიწილეგის გაზრდა ახალი მეთოდით

ზოოტექნიკოსმა დავით ჯაფარიძემ შეიმუშავა წიწილების გაზრდის ახალი მეთოდი, რომლის პრაქტიკულად გამოცდამ საუკეთესო შედეგი მოგვცა.

წიწილებს ის ზრდის სათბურში, რომელიც მებოსტნეობაში ჩითილის გამოსაყვან სათბურებს წააგავს. ამ მეთოდით წიწილების გაზრდისათვის სათბურების მოწყობა ადვილი და ყველასათვის ხელმისაწვდომია.

წიწილებისათვის სათბურების მოსაწყობად საჭიროა გაითხაროს ორმო, რომლის სიღრმე ერთი მეტრი იქნება, სიგანე — დაახლოებით ამდენივე, და სიგრძე საჭიროებისამებრ, იმ ვარაუდით, რომ ყოველ კვადრატულ მეტრ ფართობზე 50 წიწილა მოთავსდეს.

ორმოში იყრება ცხენის ახალი ნაკელი 80-85 სანტიმეტრზე, დანარჩენი 15-20 სანტიმეტრი კი სუფთა სილით ივსება. ნაკელი არ იტკეპნება, რომ ჩახურებას ხელი არ შეეშალოს და სითბოს გამოყოფა არ შეჩერდეს. სასურველია სილას შევურიოთ 5 პროცენტამდე ნახერხი ან დანაყული ხის ნახშირი.

ამგვარად ამოვსებულ ორმოს ზემოდან ედგმება ხის ყუთი, რომლის სახურავი ჩარჩოიანი მინისაგან მზადდება. უმჯობესია ულტრაიისფერი სხივების გამტარი მინა. ჩარჩოს უკანა კედლის სიმაღლე 50 სანტიმეტრია, წინა კედლისა — 30 სანტიმეტრი და, ამგვარად, დაქანება ერთ მეტრ სიგანეზე 20 სანტიმეტრს შეადგენს. მზის მხრისაკენ მიმართული ასეთი დაქანება ხელს უწყობს მზის სხივებით უკეთ სარგებლობას და წვიმის წყლის ჩამოსადენადაც საჭიროა.

ყუთის შიგნით უკანა კედელს 10 სანტიმეტრის სიმაღლეზე დაყოლებული აქვს 5-6 სანტიმეტრის სიგანის ქანდარა წიწილებისათვის.

ვენტილაციისათვის ყუთის წინა კედელს უკეთდება 3-5 სანტიმეტრი დიამეტრის ხვრელები (ყოველ მეტრზე 6-8 ხვრელი). ხვრელებს მავთულბადე უნდა გაუკეთდეს, რომ შიგ არაფერი შეიპაროს ან იქიდან წიწილა არ გამოძვრეს.

ყუთის იმავე მხარეს წიწილების გამოსაშვებად უკეთებენ პატარა, 6-7 სანტიმეტრის სიგანისა და 8-10 სანტიმეტრის სიმაღლის კარებს. ყოველ მეტრზე 2 ასეთი კარი კეთდება. კარები განზე გაწევით იღება და იხურება.

საჭიროა აგრეთვე სათბურის შიგნით ყოველ 50 წიწილაზე გაკეთდეს ტიხარი, რომ წიწილების არევა და დიდი შეჯგუფება არ მოხდეს.

ამგვარად დამზადებული სათბურები თბება ქვემოდან ცხენის ნაკელის მიერ გამოყოფილი სიმხურვალით, ზემოდან კი — მზის სხივებით.

სათბურში უნდა შევიყვანოთ 1 დღის ასაკის წიწილები და ერთ თვეს ვიყოლიოთ. ტემპერატურა პირველ დღეებში 25 გრადუსს უნდა აღწევდეს, შემდეგ თანდათანობით შემცირდეს და 1 თვის ასაკში ისეთ ტემპერატურამდე იქნას დაყვანილი, როგორიც სათბურს გარეთ არის; სათბურს შიგნით ტემპერატურის გასაზომად მიწის ზედაპირის დონეზე თერმომეტრია მოთავსებული.

ასეთი სათბურები ზოოტექნიკოსმა დ. ჯაფარიძემ მოაწყო თავის მომსახურების ზონაში, ონის რაიონის სოფელ ღარის კოლმეურნეობაში.

1953 წლის მარტში მისი მეთვალყურეობით სათბურში შეიყვანეს 400 წიწილა და ერთი თვის ასაკამდე სხვადასხვა მიზეზით მოკვდა მხოლოდ 16 წიწილა. ასეთივე შედეგით აპრილში იმავე კოლმეურნეობაში გაზარდეს 100 წიწილა და მეზობელ კოლმეურნეობაში — 250 წიწილა. სათბურში გადმოყვანის წინ წიწილები 24 საათის მანძილზე წესისამებრ ინკუბატორში გააჩერეს და კარგად გამოაშუშეს.

ზოოტექნიკოსის ინიციატივა

სათბურში გაზრდასთან ერთად, წიწილების მზრუნველობით მოვლისა და კვების რეჟიმსაც დიდ ყურადღებას აქცევდნენ.

მზიან ამინდში სათბურის კარი ყოველთვის ღია იყო და წიწილებს ჰაერზე გამოსვლის შესაძლებლობა ჰქონდათ. სათბურის კარი ღია იყო მოღრუბლულ ამინდშიც, თუ არ წვიმდა.

სათბურის ეზოში დათესილია მწვანე ბალახის ნარევი, სადაც 25 პროცენტი პარკოსნებია და 75 პროცენტი მარცვლოვანები. ეზოში მოწყობილია მოძრავი ბადე, რომლითაც შემოზღუდულია წიწილების სასეირნო მოედანი.

დ. ჯაფარიძე წიწილებს პირველ დღეს კვებავს მაგრად მოხარშული კვერცხით (1 კვერცხი 15 წიწილაზე). საკვების მიცემა სათბურის შიგნით ხდება. მეორე დღეს სამ ჯერზე კვებავს კვერცხით და ორ ჯერზე — ფეტვით ან სიმინდის ღერღილით. მესამე დღეს — ერთ ჯერზე კვერცხით, ერთ ჯერზე — მოხდილი რძის გაწურული ხაჭოთი, ორ-სამ ჯერზე კი ფეტვით ან ღერღილით. მეოთხე დღიდან ერთ ჯერზე აძლევს ხაჭოს, შემდეგ კი ფეტვს ან ღერღილს.

სასმელი წყალი წიწილებს პირველი დღიდანვე ეძლევათ, ამისათვის სპეციალური სარწყულებელი უნდა დაიდგას როგორც სათბურის შიგნით, ისე მის გარეთ. დეზინფექციისათვის წყალს კვირაში ერთხელ მანგანუმმჟავა კალიუმს ურევენ.

წიწილების გაზრდის ახალი მეთოდი მომავალში, ცხადია, უფრო გაუმჯობესდება და სრულყოფილი გახდება. მაგრამ ამ სახითაც მას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია.

ნ. ბოცირიძე,

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

სამუაღო დონეზე

ანატოლი კალინინი

მოთხრობა ერთი რაიონის შესახებ

ჯერ კიდევ კოლმეურნეობათა დაარსებამდე ბნიერმა ადამიანებმა რაიონში იცოდნენ, ხოლო შემდეგ კოლმეურნეთა გამოცდილებამ დაადასტურა მათი დასკვნა, რომ რაიონის მიწებზე, საკმაოდ ხშირი გვალვიანი ზაფხულის პირობებში, მოსავლიანობა საშემოდგომო ხორბლისა, თუ იგი, რა თქმა უნდა, ანეულზეა დათესილი, ერთიორად, ერთთისამად აღემატება საგაზაფხულო ხორბლის მოსავლიანობას. მაგრამ უკვე დიდი ხანია ოლქი რაიონისათვის შედგენილ გეგმებში ამცირებს ანეულის ხვნის დავალებას. ომის შემდეგ ანეულის ფართობი კოლმეურნეობებში თითქმის ერთიორად შემცირდა. ოლქიდან მგეგმავები განმარტავენ, რომ საჭიროა მიწის განთავისუფლება საგაზაფხულო ხორბლისათვის. ეს იმიტომ კეთდება, განმარტავენ ისინი, რომ საგაზაფხულო ხორბლის ფქვილი ყუათიანობითა და ცხობის თვისებებით საშემოდგომო ხორბლის ფქვილსა სჯობსო.

ეს, რასაკვირველია, ნაწილობრივ მართალია. მაგრამ რაიონის ხელმძღვანელებს მტკიცედ უნდა განცხადებინათ ოლქში ის, რაზეც უკვე დიდიხანია ფიქრობს რაიონის ბევრი კოლმეურნე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, აგრონომი და პარტიული მუშაკი და რაც ხანდახან თვით ნეკვერცხესაც წამოსცდება ხოლმე გულახდილობის ამჟამად წუთებში: საერთოდ კი ის გულჩათხრობილია. უნდა განეცხადებინათ, რომ რაიონისათვის თესვის გეგმის შემდგენელი ჰგავს მკერავ ტრაშკას. და საშემოდგომო ხორბლის მოსავლიანობა, უხვი 1952 წლის გამოკლებით, მკვეთრად შემცირდა, რადგან ახლა ხორბალი მეტწილად საშემოდგომო ნახნავზე ითესება. საგაზაფხულო ხორბალიც რაიონის არახელსაყრელ პირობებში უფრო ხშირად ცუდი ან საშუალოა, ვიდრე კარგი, მოსავლიანი. თუ საჭიროა საგაზაფხულო ხორბლის ნათესების გადიდება, სჯობს გადიდდეს იმ რაიონებში, სადაც იგი უთუოდ კარგად მოდის. ნეკვერცხს შეეძლო მოეყვანა სულ ახალი ფაქტებიც. წელს კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც თავმჯდომარეა სტეპან ტიხონოვიჩი, ანეულზე დათესილი საშემოდგომო ხორბლის მოსავლიანობამ ბუთჯერ გადააჭარბა საგაზაფხულო ხორბლის მოსავლიანობას. ამავე დროს საშემოდგომო ნახნავზე დათესილი საშემოდგომო ხორბალი საგაზაფხულოზე უარესი მოვიდა.

მაგ რათა დუმს ნეკვერცხი იმაზე, რაზეც იგი ფიქრობს და რაც ზოგჯერ, თავისი გულჩათხრობილობის მიუხედავად, წამოსცდება ხოლმე რაიონში? იმავე მიზეზით. ეშინია არ დასწამონ ანტისახელმწიფოებრივი ტენდენციაა... საგაზაფხულო ხორბლის მიმართ.

და იგი ამჯობინებს უხალისოდ, დაზეპირებული გაკვეთილივით, ჩასჩაჩინებდეს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, აგრონომებს, პარტიულ მუშაკებს ოლქში გაგონილ სიტყვებს:

— საგაზაფხულო ხორბალი უუათიანობითა და ცხობის თვისებებით სჯობს საშემოდგომო ხორბალს.

ხოლო იმათ, ვისაც სტეპან ტიხონოვიჩივთ არ სურს დაკმაყოფილდეს ამ განმარტებით, მან შეიძლება შეუყვიროს კიდეც:

— გეგმა ხომ მიიღეთ? მიიღეთ. თქვენი საქმეა შესრულება...

* * *

რამდენიმე ხნის წინათ რაიკომის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებაში ახალი ინსტრუქტორი გამოგზავნეს. მანამდე იგი აგრონომად მუშაობდა ერთ-ერთ მტს-ში. წინათ აგრონომიული განათლების მქონე ეშვიათი იყო სოფლის პარტიულ მუშაკებში. ახლა ეს ჩვეულებრივი ამბავი ხდება.

— შენ, ერიომინ, ბედმა გაგიღიმა, — ეუბნებოდნენ მას საოლქო კომიტეტში, — ნეკვერცხისაგან ბევრი რამ შეგიძლია ისწავლო. რაიკომის მდივანი კი არა, ენციკლოპედიაა, რაიონში თვალდაუჭეულს არსად არ აერევა გზა. ნეკვროვისთანა მოჰიკანები თითქმის აღარ დარჩენილან...

ახალგაზრდა ინსტრუქტორი გატაცებით შეუდგა პარტიულ მუშაობას. მან იმით დაიწყო, რომ ეცნობოდა კოლმეურნეობებს, ადამიანებს. რაიონი მოეწონა: მდიდარი მიწები, მდელოები, ლამაზი ხეტყრები და სტანციები. ამავე დროს აგრონომის თვალმა დაინახა ის, რაც უბრალო თვალისათვის შეუმჩნეველია. დაინახა, რომ არსებულ შესაძლებლობებთან შედარებით კოლმეურნეობები ნელა ვითარდებიან. კვლავ ხელისშემშლელია დაბალი შრომის დისციპლინა. პირუტყვი ზამთარს ატარებს მოუწყობელ სადგომებში, მას აკლია საკვები.

ერიომინი გაეცნო ბევრ საინტერესო ადამიანს — კოლმეურნეებს, აგრონომებს, ტრაქტორისტებს. პარტორგანიზაციების მდივნებს — და გააკეთა დასკვნა, რომ ამ ადამიანებზე დაყრდნობით რაიონში შეიძლება პირდაპირ სასწაულების მოხდენა, უახლოეს ორ-სამ წელიწადში კოლმეურნეობათა მეურნეობის მკვეთრად ამაღლება, კოლმეურნეთა ნამდვილად უზრუნველყოფილი ცხოვრების მიღწევა.

უამრავი დაკვირვებით, უბის წიგნაკში ჩაწერილი შენიშვნებითა და ციფრებით იგი, აგზნებული, დაღლილი და გამტვერიანებული, პირდაპირ გზიდან, ისე რომ სახლშიც არ შეუვლია, შევიდა ნეკვროვის კაბინეტში, მაგიდას მიუჯდა და ამბებს მოუყვა.

ნეკვროვს ჭაღარაშერეული შავთმიანი თავი დაეხარა, ხმაამოუღებლივ უსმენდა ერიომინს, თან ქაღალდზე ფანქრით რაღაც ოთხკუთხედებსა და წრეებს ხატავდა. სანამ ერიომინი ლაპარაკობდა, მას ერთი შეკითხვაც არ მიუცია, მოსმენილისადმი ინტერესი არ გამოუჩენია. ასე უსმენდა ნახევარ საათს, მთელ საათს და ფანქრით განუწყვეტლივ ხატავდა ფურცელზე წრეებსა და ოთხკუთხედებს.

ხოლო როცა ინსტრუქტორი გაჩუმდა, ნეკვროვი ცოტა ხანს დუმდა, შემდეგ თავაუღებლად შეეკითხა:

— გაათავეთ?

— გავათავე, — ცოტა არ იყოს სახტად დარჩენილმა უპასუხა ერიომინმა.

— ჰოო... — შენიშნა ნეკვროვმა.

რა უნდოდა ეთქვა ამით, გაუგებარი დარჩა.

ერიომინმა ცოტა მოიცადა და შეეცხუნებული წავიდა მისი კაბინეტიდან. მას ვერ გამოეცნო იმ გულგრილობის მიზეზი, რომლითაც მის ნაამბობს შეხვდა რაიკომის მდივანი, და ეს გარემობა ამას მიაწერა, რომ ნეკვროვი, ალბათ, იმ დროს სხვა რაღაცაზე, ბევრად უფრო მნიშვნელოვანზე ფიქრობდა.

მაგრამ როცა რაიონის მეორედ მოვლის შემდეგ ერიომინი კვლავ შეეფიდა ნეკვროვთან, იგი ისევ წინანდებურად შეხვდა. არც ერთი კუნთი არ შერხეულა რაიკომის მდივნის სახეზე. ერთხელაც არ აუწევია მაგიდიდან თავი. იმავე ლურჯი წახნაგოვანი ფანქრით ხატავდა ქაღალდზე იმავე წრეებს.

ასე გამეორდა მესამედაც. მეოთხედაც. ამის შემდეგ ერიომინი მივლინებიდან ჩამოსვლისას აღარ მიიჩქაროდა რაკომის მდივანთან. ნეკვროვიც არაფერს ეკითხებოდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ახალ რაიონს შესახებ მას სულერთია ვერ ეტყოდნენ.

მარტო ერთხელ რაიკომის ბიუროზე მან ასწია თავი და თვალებით მოიძებნა ერიომინი.

— „კრასნი კავალერისტში“ თქვენ მოეწონეთ ლეგრწის დარგვა გუთნით მოხნულზე?

— ეს საინტერესო საქმეა, პაველ ივანოვიჩ! — თქვა ერიომინმა.

— შეუმოწმებელია...

— მათ სწორედ შესამოწმებლად დარგეს. სულ ორი ჰექტარი.

— დიდ პასუხისმგებლობას კისრულობთ... — ხაზგასმით უთხრა ნეკვროვმა.

* * *

...დავუბრუნდეთ სტეპან ტიხონოვიჩს. როგორ წავიდა შემდეგ მისი საქმე? რა მოჰყვა მთელ ამ ამბავს?

კოლმეურნეობაში, რომელშიც იგი თავმჯდომარედ მივიდა, სამი კოლმეურნეობა იყო გაერთიანებული. როცა სტეპან ტიხონოვიჩი მივიდა, კოლმეურნეობაში რამდენიმე ყოფილი თავმჯდომარე იყო. სხვადასხვა დროს სხვადასხვა დანიშულისათვის მათ დაკარგეს კოლმეურნეთა ნდობა, კოლმეურნეებმა მათ წაართვეს საზოგადოებრივი მეურნეობის ხელმძღვანელობის უფლება: ერთს — ლოთობისათვის, მეორეს — ბატონკაცური ქცევისათვის, მესამეს — როგორც დროის მოთხოვნებისათვის შეუფერებელს.

ახლა ისინი ჩარჩნენ კოლმეურნეობაში როგორც მისი რიგითი წევრები. მაგრამ, ერთხელ ძალაუფლება რომ იგემეს, მათმა უმრავლესობამ მიიჩნია, რომ ახლა უფლება აქვთ აღარ იმუშაონ, სამაგიეროდ უფლება აქვთ სხვებს ასწავლონ, როგორ უნდა მუშაობა. და, რა თქმა უნდა, ამ ყოფილ თავმჯდომარეთაგან თვითეულს ეჩვენებოდა, რომ ახალი თავმჯდომარე ისე არ ხელმძღვანელობს კოლმეურნეობას, როგორც საჭიროა.

დაიწყო წერილების გზავნა რაიკომსა და საოლქო კომიტეტში, დაიწყეს ჩამოსვლა კოლმეურნეობაში კომისიებმა და რევიზორებმა, სტეპან ტიხონოვიჩისაგან ვრცელი, და აუცილებლად წერილობითი, ახსნა-განმარტებების მოთხოვნა. ერთი კომისია რომ წავიდოდა — მეორე მოდიოდა. გაისტუმრებდა რაიონიდან ჩამოსულ ერთ რევიზორს, მეორე — ოლქიდან მოდიოდა.

ბოლოს და ბოლოს ყველა გამოკვლეცა და შემოწმება მთავრდებოდა ერთნაირად: არაფერით. თვით საქმე ფაღდებდა, რომ სტეპან ტიხონოვიჩი, რა თქმა უნდა, არა უშეცდომოდ, მაგრამ უთუოდ სწორად ხელმძღვანელობს კოლმეურნეობას. ხელმძღვანელობს შემოქმედებითად. პერსპექტივით. მაგრამ დასმენა არ წყდებოდა. ზოგი რევიზორი, როგორც საკუთარ სახლში, ისე მიდიოდა კოლმეურნეობაში, და თვითონაც პირდაპირ გამოთქვამდა თავის აღფოთებას. ეუბნებოდა სტეპან ტიხონოვიჩს — მშვიდად იმუშავეო.

მაგრამ ნერვები ვეღარ უძლებდა. ყველაზე საწყენი იყო იმის შეგნება, რომ რაკომი და მისი პირველი მდივანი, რაიალმასკომი და მისი თავმჯდომარე, რომლებმაც ყველაზე უკეთ იცოდნენ ახალი თავმჯდომარის წინააღმდეგ გაღაშქრების ნამდვილი მიზეზი, ყველა ამ რევიზიას და შემოწმებას მართებულად თვლიდნენ და შორიდან უყურებდნენ, როგორ ესეოდნენ გამომკვლევები ადამიანს, რომელსაც უამრავი გადაუდებელი საქმე ჰქონდა. ყველაზე კარგი ხომ ის იქნებოდა, რომ ნეკვროვსა და მოლჩანოვს, რომლებმაც იცოდნენ საქმის ნამდვილი ვითარება კოლმეურნეობაში, მუშტი დაერტყათ მაგიდაზე და შეეყვარათ რევიზორებისათვის:

— კმარა! ჩვენს დაუკითხავად ფეხი აღარ მიდგათ კოლმეურნეობაში! ნებას არ მოგცემთ საქმეს მოაცდინოთ ადამიანი. ჩვენთან იქნილიეთ საქმე!

ამავე დროს ზოგიერთი ყოფილი თავმჯდომარე ხანდახან კრებებზე ახერხებდა სტეპან ტიხონოვიჩის წინააღმდეგ აემხედრებინა კოლმეურნეთა ნაწილი — თავისი ნათესავები და დამჭეზეები. ყოფილ თავმჯდომარეებს ეხმარებოდნენ ბუხპალტერი, რომელიც სტეპან ტიხონოვიჩმა სამუშაოდან გადააყენა მაქინაციებისათვის. ზოგჯერ ისინი აიყოლიებდნენ მთელ კრებასაც. და რომელიმე ახალი, სასარგებლო საქმე ფარხდებოდა.

როგორ მოიქცა ნეკვროვი, მიიდა კოლმეურნეობაში, რომ გაერკვია საქმე, შეენელებინა დაძაბულობა? არა, როგორც თვითონ არის მიჩვეული მარტოდ მუშაობას, მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაწყობას, ისე სხვებსაც არ ეხმარება, ტოვებს მათ სიძნელეების პირისპირ. ნეკვროვი უსაყვედურებდა სტეპან ტიხონოვიჩს, კოლმეურნეობაში კინკლაობა ჩამოაგდეო. რაიკომის მდივანს კვერს უკრავდა რაიალმასკომის თავმჯდომარე. მოლჩანოვს თითქოს განსაკუთრებით ეამებოდა კვლავ და კვლავ გაელანძღა ადამიანი, რომელმაც, კაცმა რომ თქვას, მასზე მეტიც იცოდა და უფრო შორსაც ხედავდა.

მოლჩანოვმა ამაში პირადულიც გაურია. ვერ აპატია კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს საჯაროდ, პლენუმის ტრიბუნიდან წარმოთქმული სიტყვები.

და სტეპან ტიხონოვიჩი მოიქანცა, მას აძლევინებდა შეგნება, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, კოლმეურნეობაში საქმე უმჯობესდება და აგრეთვე გადიდდა რიცხვი დაუდგრომელი, ახლის მოტრფიალე ადამიანებისა, რომლებზეც ახლა შეიძლებოდა დაყრდნობა. მაგრამ ამას ერთვოდა ნაღველი, რომ კოლმეურნეობის შეაძლებლობათა შესაბამისად ყველაფერი შეიძლებოდა გაკეთებულიყო გაცილებით უფრო კარგად, უფრო სწრაფად და ახალი ადამიანებიც ბევრად უფრო მალე გაიზრდებოდნენ.

ამნაირად დღითიდღე უფუჭებდნენ გუნებას ადამიანს, უკლავდნენ ლტოლვას შემოქმედებისადმი. წინათ სტეპან ტიხონოვიჩი თხოულობდა სხვებთან მეურნეობიდან კოლმეურნეობაში გადაყვანას, ახლა კი კოლმეურნეობიდან უკანვე მიიწევდა.

ადამიანები სხვადასხვა ხასიათისა არიან. დიდი გლინკას შემოქმედებაც კი, სტასოვის სიტყვით, განსაკუთრებული ძალით იფურჩქნებოდა და ნაყოფს იძლეოდა მისი „ცხოვრების იმ ძვირფას მომენტებში, როცა იგი გრძნობდა, რომ ბედნიერად მოცულია ამხანაგური თანაგრძნობითა და მხარდაჭერით.

სტეპან ტიხონოვიჩი — მწითური, ბრგე ვაჟკაცი — ფაქიზი გრძნობის ადამიანია და ავადმყოფურად განიცდის უსამართლობას. ის კი არა, რომ მარტო ქებას არის მიჩვეული, დამცირების ატანა არ შეუძლია.

— გუნებაზე? — იიწევს. წარბს ნეკვროვი.

ხოლო მოლჩანოვი სახეზე გამოხატავს ზიზღსა და გაკვირვებას.

ყოველივე ეს, მათი

საღღეისო თემაზე

სახლმმართველობა

ქალაქის სახინაო მეურნეობაში ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ძირეული რგოლია სახლმმართველობა. სახლმმართველს ევალება უშუალო ხელმძღვანელობა და ოპერატიული მუშაობა სახინაო ფონდის შენარჩუნებასა და ექსპლოატაციაში, მიმდინარე და კაპიტალური რემონტის დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებაში, ეზოებისა და შენობების კეთილმოწყობასა და წესრიგზე მოყვანაში.

დედაქალაქის მარტო ერთი რაიონის სახინაო სამმართველოსა და სახლმმართველობათა მაგალითი მკაფიოდ მოწმობს ამ უბანზე მოშუშავე ადამიანთა წინაშე მდგომი ამოცანების სერიოზულობას. ეს არის კალინინის რაიონი.

აქ 33 სახლმმართველობაა, მათგან 24 გამსხვილებულია, რომელთა მმართველობაში მრავალი სახლი შედის. № 163 სახლმმართველობაში, რომელსაც დ. სანაქე ხელმძღვანელობს, შედის რუსთაველის პროსპექტზე, წულუკიძისა და გრიბოედოვის ქუჩებზე განლაგებული სახლები. მეტი წილი ეს სახლები მიმდინარე ან კაპიტალურ რემონტს საჭიროებს, ბევრ ეზოში უწესრიგობა და უსუფთაობაა. სახლმმართველობა ანგარიშს არ უწევს, ყურადღებას არ აქცევს მობინადრეთა სამართლიან მოთხოვნებს. აღნიშნული სახლების მიმდინარე რემონტის 11 თვის გეგმა მხოლოდ 70,2 პროცენტით არის შესრულებული. უინიციატივობას, ზოგჯერ უმოქმედობასაც კი იჩენენ სახლმმართველები შ. იგიტოვი (№ 179 სახლმმართველობა), ტ. ახალიანი (№ 152 სახლმმართველობა) და სხვ. № 179 სახლმმართველობაში შემავალ ბევრ სახლს მიმდინარე რემონტი სჭირდება, აქ ბევრგან მოუგვარებელია საკანალიზაციო მეურნეობა.

იქ, სადაც სახლმმართველები გულისხმიერებას და ინიციატივას იჩენენ, მობინადრეებიც კმაყოფილნი არიან. № 153 სახლმმართველობამ (სახლმმართველი მ. ნატროშვილი) მიმდინარე რემონტის წლიური გეგმა 11 თვეში 91,7 პროცენტით შეასრულა. მას რაიონის სახინაო სამმართველოს გარდამავალი დროშა უპყრია. კარგად მუშაობს № 159 სახლმმართველობაც (სახლმმართველი მ. დოღონაძე).

მიმდინარე რემონტი მეტად მნიშვნელოვანი საქმეა. მისი დაგვიანებით და უხარისხოდ შესრულება იწვევს სარემონტო ობიექტების დაზიანების გართულებას, შემდეგში უფრო დიდ ხარჯებს.

აღსანიშნავია, რომ ქალაქის „ბინმმართველობა" რაიონებს არ აწვდის კარგი ხარისხის საშენ მასალას, ან არასაკმარისად აწვდის მას. კალინინის რაიონის სახინაო სამმართველოს სარემონტო კანტორას, მაგალითად, „ბინმმართველობიდან" არ მიუღია ცემენტის, ხე-ტყის, სახურავი თუნუქისა და სხვა საჭირო მასალების 50-60 პროცენტზე მეტი. სარემონტო კანტორები ხშირად გადატვირთულია სამკურნალო და კულტურულ დაწესებულებათა რემონტით. იმავე რაიონის სახინაო სამმართველოს წელს 4.200 ათასი მანეთის სარემონტო სამუშაოები უნდა შეესრულებინა. აქედან სახინაო ფონდის რემონტზე მან მხოლოდ 2 მილიონი მანეთის სამუშაო შეასრულა. ამ მდგომარეობას აუარადღება უნდა მიაქციოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა.

სახლმმართველობებს შორის უნდა გაიშალოს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება, გაძლიერდეს მათდამი ოპერატიული ხელმძღვანელობა.

უნდა გვახსოვდეს, რომ სახლმმართველობა დიდმნიშვნელოვანი რგოლია ქალაქის სახინაო მეურნეობის მაღალ დონეზე დაყენების საქმეში.

თბილისელი მუშები სახლებს იშენებენ

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში ყოველდღე შედის მრავალი განცხადება ინდივიდუალური სახლების მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ.

ამას წინათ საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიწის ნაკვეთი გამოუყო კიროვის სახელობის ჩარხშენებელი ქარხნის მუშას ა. ლისიხს ხუთოთახიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად. ასეთივე სახლების მშენებლობის ნებართვა მიიღეს თბილისის მაცივარკომბინატის მუშამ ა. ეგიაბარიანმა და სხვებმა.

თბილისის ახალი მშენებლობანი

„უკანასკნელ" უბანზე

ზამთარი ძალიან დაეტყო მტკვარს. მდინარე დაპატარავდა, ფონიან ადგილებში ფერადფერადი რიყის ქვები გამოჩნდნენ... სანაპიროთა ბაღებში ხეებს კარგა ხანია ფოთლები გასცვივდა, შიშველ ტოტებში თავისუფლად დათარეობს ქარი. მაგრამ ეს ვერ აშინებს ზამთრის პეიზაჟის მოყვარულ და თევზჭერის მოტრფიალე თბილისელებს. ჩადიან რიყეზე, ეძებენ სათევზაოდ უფრო ხელსაყრელ ადგილებს და დაუოკებელი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებენ მდინარის შემავიწროებელ, ორივე ნაპირის გაყოლებით მაღლა, საიმედოდ და მყარად აზიდულ მომავალი სანაპირო ქუჩების საყრდენ რკინაბეტონის კედლებს. ისინი ერთი მხრით ორჯონიკიძის პარკიდან მეტეხის კონცხამდე, ხოლო მეორე მხრით ჩელუსკინელების ხიდიდან ორთაჭალის ბაღებამდე გაჭიმულან. დღემდე მარჯვენა სანაპიროს საყრდენი კედელი შუაზე იყო გაწყვეტილი, ამოუშენებლად იყო დარჩენილი სამოცდაათი მეტრის სიგრძეზე. ეს ის ადგილია, სადაც მტკვრის ნარიყალა-მეტეხის მთლიანი კლდე ვიწროდ გაუჭრია და კლდეკარი შეუქმნია. აქ ძველებური ქარვასლების სქელტანიანი შენობების ბალავრებთან მტკვარი ერთ ადგილას ტრიალებს, მორევად დუღს, კლდოვან ფსკერს ებრძვის.

ამ უკანასკნელ უბანს შებმიან ახლა სანაპიროთა მშენებლები. ამ ადგილას ისეთი კედელია ამოსაყვანი, რომელსაც ვერავითარი სტიქია ვერ მოერევა. მეტეხის მორევში, სადაც წყლის საღრმე მდინარის ნორმალური დონის ეთარებაში 8 მეტრს აღემატება, სანაპირო ქუჩის საყრდენი კედლის საფუძველი რკინაბეტონით უნდა გაეკეთებინ სიპში. ეს ადვილი საქმე იქნებოდა, წყალი ტბასავით რომ იდგეს, ბეტონის ჩასასხმელ ადგილს ძნელად წარმოსადგენი სიძლიერით რომ არ სცემდეს მტკვარი ერთ მძლავრ ჰიდრავლიკურ მუშტად ქცეულ ტალღებს. მდინარის დამანგრეველი სიმძლავრე აქ, როგორც ჰიდრავლიკოსები აღნიშნავენ, არანაკლებია, ვიდრე საკმაოდ დიდი ყალიბის ქვემეხის ყუმბარისა. ამ დაბრკოლების მიუხედავად მშენებლებმა გადაწყვიტეს მტკვარი სატუმბავი დანადგარებით დაიჯაბნონ, ფსკერი გაუშიშვლონ, საყრდენი კედლის ფუძისათვის გული ღრმად ამოუღადრონ, რკინაბეტონით გასკვნან მომავალი განიერი სანაპირო ქუჩის ფუძე. ამ რთულმა ამოცანამ, თავისებურმა „სანახობამ", როგორც მას მშენებლები ეძახიან, თბილისის ტექნიკური ინტელიგენციის დიდი ყურადღება მიიპყრო. მტკვრის კალაპოტის ყველაზე ვიწრო ადგილას მრავალი მეტრის სიღრმეზე წყალში მშრალად ჩასვლის ცდა ჩვენში ჯერ არ ყოფილა.

ამ საინტერესო სამუშაოთა ხელმძღვანელობა ინჟინერ ივანე ჩხაიძეს მიენდო. ივანე ფიცხი და ალღოიანი, თან ფრთხილი, შემტევი ინჟინერია. ეს მან ფაშისტთა ურდოებთან ბრძოლაშიც დაამტკიცა. თითქოს ფრონტიაო, ყოველ წუთს დღითა და ღამით სამუშაოს თავს ადგას.

— ვერ ენდობი წყალს, სად გამოჟონავს, სად და რა დროს გამოგდებს სარმას, არ იცი. ამიტომაც ასი თვალი უნდა გებას კაცს. როცა დაიმორჩილებ გაიხარებ კიდევაც, — ამბობს ის. ინჟინერ ჩხაიძესთან ერთად არიან მისები სტიქიონთან ბრძოლაში ნაცადი მშენებლები ინჟინრები ი. ოღოობერიძე, ო. კაჭარავა და ვ. ტუღუში, ხუროების ბრიგადირი გიორგი გორგიაშვილი და მეზეტონე მიხეილ აფციაური. როცა ისინი რაიმე დაბრკოლების გადასალახავად შეიყრებიან, უსიტყვოდ ხვდებიან ერთმანეთის აზრს.

მტკვრის მორევის მოსათოკავად ბრძოლა მშენებლებმა ასე დაიწყეს: გლეხური სახლის ოდენა ფიქვის ხის დიდი ყუთები შეკრეს, შეაცურეს მტკვრის ტალღებში, აავსეს ლოდებით და ჩაძირეს. ასე წარმოიქმნა რამდენიმე სართულიანი პირველი ზღუდარი, სამოცდაათი მეტრის სიგრძეზე. ამავე წესით პირველის პარალელურად აღმართეს ჯერ ხრეშის, შემდეგ აყალოს უფონვადი ორი ზღუდარი და... როგორც იტყვიან, ერთ მშვენიერ დღეს მეტეხის მორევი სამწყება ზღუდარის გარემოცავში აღმოჩნდა, მდინარისაგან სრულიად იზოლირებული. ამას მოელოდნენ მშენებლები, რათა გამომწყვდეული მორევი გაეკრთო. მოიტანეს და გამართეს სატუმბავი დანადგარები, ღამით შეუდგნენ მუშაობას, თორემ დღისით აქ სეირის მოტრფიალე აუარბელი ხალხი მოიყრიდა თავს. ღამე გამუდმებით მუშაობდნენ სატუმბავები. დილით გამოჩნდა მორევის კლდოვანი ფსკერი, რისთვისაც ადამიანს ფეხი კი არა, წყლის დიდი წნევის გამო თევზსაც არ მოუვლია ბოლო. სიხარულით წამოიძახა მ. აფციაურმა:

— ფსკერი, ბიჭებო!

რუსმა მტუმბავმა ვასილ დენისოვმა კი ზემოდან ჩასძახა:

— ჩვენც ეს გვინდოდა!

ახლა ჩაბეტონება და კედლის ამოყვანა ძნელი აღარ არის. გორგიაშვილს მზადა აქვს ქარგილები. თვითსაცლელი მანქანების კოლონა ნიშანს მოელის, რათა ერთბაშად მოზიდონ 1.600 კუბმეტრი ბეტონის ხსნარი, რომ მეტეხის მორევის ფსკერიდან ამოიმართოს საშვილიშვილო ნაგებობა, და დიდმა, კეთილმოწყობილმა სანაპირო პროსპექტმა გადახაზოს მტკვრის სანაპირო ჩელუსკინელების ხიდიდან ორთაჭალის ბაღებამდე.

ბორის ჩხეიძე.

თანამეგობრობა

ბოლნისი. (საკ. კორ.). ამ დღეებში წითელსოფლის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში ჩამოვიდნენ თბილისის ბამბის ფაბრიკის წარმომადგენლები და გააფორმეს საშეფო ხელშეკრულება. ფაბრიკა კოლმეურნეობას დაეხმარება საკოლმეურნეო წყალსადენის გაყვანაში, შეაკეთებს ელექტრომოტორებს, ელექტროგაყვანილობას მეცხოველეობის ფერმებში.

ფაბრიკაში კოლმეურნეობის საჭიროებისათვის ამზადებენ სოლოსის საჭრელი მანქანის ორ კომპლექტ დანას და სხვა საჭირო ინვენტარს. კოლმეურნეობამ თავის მხრივ იკისრა ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებს მიაწოდოს ბოსტნეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები კოლმეურნეობის გამგეობის მიერ დაწესებულ ფასებში.

მოსწავლეთა მეგობრული მიმოწერა

ჭიათურა. (საკ. კორ.). ამას წინათ მარგანეცის ქალაქში ფრიად საინტერესო წერილი მოვდა. წერილზე ასეთი მისამართი იყო: საქართველოს სსრ. ქ. ჭიათურა. პირველი საშუალო სკოლის მეათე კლასი. საკლასო სიით მესამე მოსწავლეს.

საკლასო სიის მიხედვით წერილი ხვდა ხუთოსან მოსწავლეს ზემფირა ბარათაშვილს. ზემფირამ და მისმა ამხანაგებმა დიდი მოწიწებით გახსნეს წერილი. აინტერესებდათ გაეგოთ ვინ იყო წერილის ავტორი, რას იწერებოდა უცნობი მეგობარი. წერილის ავტორი აღმოჩნდა მოლდავეთის სსრ ქალაქ რიბნიცის მესამე რუსული საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე როზალია ტკაჩი. აი რას წერდა იგი ჭიათურელ მეგობარს:

„უცნობო მეგობარო"!

მე მსურს მყავდეს ბევრი მეგობარი. ამიტომ გადავწყვიტე მომეწერა წერილი შენთვის. თუ შენი სურვილიც იქნება, დავამყაროთ წერილობითი ურთიერთობა. მე გიამბობ ჩვენი რესპუბლიკის, ქალაქის, სკოლის, კლასის ცხოვრებაზე. შენც ასევე მოიქეცი. ვფიქრობ, ეს მიმოწერა საინტერესო იქნება".

მოლდაველი ქალიშვილის წერილმა საერთო ინტერესი და კმაყოფილება გამოიწვია ჭიათურელ მოსწავლეებში. მათ პასუხიც არ დააგვიანეს. ხუთოსანმა მოსწავლეებმა ზ. ბარათაშვილმა, ლ. რუსეკაძემ და ჯ. ლორთქიფანიძემ მისწერეს როზალია ტკაჩს:

„სალამი შორეულ ამხანაგს როზალიას! შენმა წერილმა დიდად გაგვახარა. ერთხმად გადაწყვიტეთ დავამყაროთ მეგობრობა თქვენთან. მეტად ლამაზი და მდიდარია საქართველო. ჩვენი ქალაქი ჭიათურაც მთელ მსოფლიოშია ცნობილი თავისი მაღალხარისხოვანი მარგანეცით.

ჩვენი რესპუბლიკისა და სამშობლო ქალაქის შესახებ დაწვრილებით გიამბობთ შემდეგ წერილებში. მოგწერთ აგრეთვე ჩვენი სკოლისა და კლასის ცხოვრებაზე. ჩვენ პირველი კლასიდანვე ხუთოსნები ვართ. გადაწყვეტილი გვაქვს შევინარჩუნოთ მიღწეული და საშუალო სკოლა წარჩინებით დავამთავროთ.

საჩუქრად გიგზავნით დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხის ტყაოსნის" რუსულ გამოცემას. ვამზადებთ ჩვენი ქალაქის ცხოვრების ამსახველ ფოტოალბომს, რასაც მალე გამოგიგზავნით. ჩვენი სალამი გადაეცით თქვენი კლასის ყველა მოსწავლეს. გისურვებთ წარმატებებს".

მალე ჭიათურელმა მოსწავლეებმა საპასუხო წერილი მიიღეს.

მიმოწერა გრძელდება...

უბრალოდ წარმოიშვა გულწრფელი მეგობრობა ორი მომავ რესპუბლიკის მოსწავლეთა შორის. ეს თანამეგობრობა დღითიდღე უფრო მტკიცდება, შინაარსიანი და საინტერესო ხდება.

პ. ჭიოკაძე

ახალი წიგნები

დ. დეფო — „რობინზონ კრუზოს", მეორე წიგნი, ინგლისურიდან თარგმნა ვ. ჭელიძემ, საბლიტგამი, თბილისი, 1953 წელი, ტირაჟი 8.000, გვ. 212, ფასი 8 მან. 10 კაპ.

ცნობილი ინგლისელი მწერლის ამ წიგნში გრძელდება „რობინზონ კრუზოს" პირველ ნაწილში მოყვანილი თავგადასავლის, ზღვაზე მოგზაურობის აღწერა. წიგნიდან მთარგმნელს ამოღებია ზოგიერთი გაჭიანურებული და განყენებული ადგილი, რომლებსაც თანამედროვე გამოცემებში ჩვეულებრივ სამართლიანად ამოკლებენ.

შ. რადიანი — „ლიტერატურული პორტრეტები", კრიტიკული წერილების კრებული, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი", თბილისი, 1953 წელი, ტირაჟი 10.000, გვ. 289, ფასი 6 მან. 55 კაპ.

ნაშრომში შეტანილია წერილები ცნობილი ქართველი მწერლების გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ლ. ქიაჩელის, შ. დადიანის, ი. გრიშაშვილის, ჯ. გამსახურდიას, ა. მირცხულავას, დ. შენგელიას, კ. ლორთქიფანიძის, გრ. ბაშაძის და გ. ცუჩიშვილის შემოქმედების შესახებ.

საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის განცხადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტი ათეულ მილიონობით საბჭოთა ქალის სახელით მხურვალედ იწონებს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვენის სესიისა და მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია შეთანხმებათა გზით გადაიჭრას საერთაშორისო უთანხმოება და კონფლიქტები.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მომხრე ორგანიზაციებისა და მოღვაწეებისადმი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვის თვითეულმა პუნქტმა, რეზოლუციის თვითეულმა პუნქტმა უაღრესად ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა ქალებში. საბჭოთა ქალებს სურთ მთელი მსოფლიოს ხალხთა მშვიდობა. საბჭოთა დედებმა, ცოლებმა კარგად იციან, თუ რა არის ომი. მათ არა სურთ, რომ კვლავ ჩამოეწყვიტოს თავზე ჭერი, არა სურთ, რომ მათ დაუხოცონ მამები, ქმრები, ძმები, რომ დაუობლდეთ შვილები.

სწორედ ამიტომ ესოდენ ძლიერ თანაუგრძნობდნენ საბჭოთა ქალები კორეელ დებს და მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ესოდენ დიდი სიხარულით შეხვდნენ ცნობას კორეაში დაზავების შესახებ, რომელიც მშვიდობის საქმის დიდი გამარჯვება იყო.

და ახლა საბჭოთა ქალები მოითხოვენ, რომ მალე გადაიჭრას მშვიდობიანი გზით კორეის პრობლემა, რომ აღარასოდეს აღარ დაიღვაროს უდანაშაულო მსხვერპლთა—კორეელ ქალთა და ბავშვთა სისხლი, რომ კორეელ ხალხს მიენიჭოს უფლება თვითონ გადაწყვიტოს თავისი წყობილებისა და მშვიდობიანი ცხოვრების საკითხები.

დიდი მწუხარება მოუტანა მთელ კაცობრიობას მეორე მსოფლიო ომმა, რომელიც გერმანიის ფაშიზმმა დაიწყო. ამიტომ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება ახლა ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის შეშფოთებას იწვევს. საბჭოთა ქალები აცხადებენ, რომ ისინი სავსებით უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის წინადადებებს გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ, რომლებიც გერმანელ ხალხს უხსნიან მისი ეროვნული ერთიანობის აღდგენის და დემოკრატიული მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნის გზას.

ჩვენ, საბჭოთა ქალებს, მუდამ გვახსოვს, რომ მშვიდობის მტრები კვლავ ცდილობენ გააღვივონ საერთაშორისო კონფლიქტები, თავიანთ აგრესიულ მოქმედებას ნიღბავენ სიტყვა „მოლაპარაკებით", ეწევიან ცივ ომს. ამიტომ სულითა და გულით ვუჭერთ მხარს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის მონაწილე მეცნიერებს, რომელნიც მოუწოდებენ ყველა თავიანთ მოძმეს მთელ მსოფლიოში ენერგიულად იბრძოლონ მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვისა [illegible] ნიერება ნგრევის მიზნით კი აღარ იქნას გამოყენებული, არამედ კაცობრიობის კეთილშობილურ მიზნებს ემსახურებოდეს. ჩვენ — ქალები — გადაჭრით მოვითხოვთ აიკრძალოს ატომური, წყალბადისა და ბაქტერიოლოგიური იარაღი, ადამიანთა მასობრივი მოსპობის იარაღი.

საბჭოთა ქალებს, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, საჭიროდ მიაჩნიათ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შექმნას ერთა ნამდვილი თანამშრომლობის შესაძლებლობა, რომ დიდ ჩინელ ხალხს თავისი წარმომადგენლები ჰყავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რომ მოისპოს შეშფოთება და შიში, სიღატაკე და გაჭირვება, რომლებიც უბადალებული „ცივი ომისა" და გამალებული შეიარაღების შედეგად ახლა მძიმე ტვირთად აწევს კაპიტალისტური ქვეყნების ადამიანება და განსაკუთრებით ქალებს.

საბჭოთა ქალები — დედები, ცოლები, დები სულითა და გულით უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია მშვიდობიანად მოწესრიგდეს ყველა სადავო საერთაშორისო საკითხი, უზრუნველყოფილ იქნას მთელი მსოფლიოს მშვიდობა, შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა.

იბრძვის რა მშვიდობისათვის საერთაშორისო ასპარეზზე, საბჭოთა მთავრობა ამავე დროს ისწრაფვის უფრო სრულად დააკმაყოფილოს საბჭოთა ადამიანების მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი, შექმნას ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობისათვის სურსათისა და საქონლის სიუხვე. სსრ კავშირის ბიუჯეტში ფართოდ არის ასახული საბჭოთა მთავრობის უდიდესი ზრუნვა ქალებისა და ბავშვებისათვის. საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტი მოუწოდებს საბჭოთა კავშირის ყველა ქალს — აქტიურად განაგრძონ ბრძოლა მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის, ერთგულად მოახმარონ თავიანთი ძალები, ცოდნა, ნიჭი სამშობლოს კეთილდღეობას, თავდადებით იშრომონ თავიანთი შვილების, დედამიწის ყველა ბავშვის ბედნიერებისა და მომავლისათვის.

გაუმარჯოს ყველა ქვეყნის ქალთა ურღვევ მეგობრობას, რომელთაც აქვთ ერთი საერთო მიზანი — არ დაუშვან ომი, შეინარჩუნონ მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები: ნ. პოპოვა, ზ. გაგარინა, ტ. ზუევა, მ. ოვსიანიკოვა, ნ. პარფენოვა, ლ. პეტროვა, ო. ხვალებნოვა, ზ. ლებედევა, ა. ხოლოპოვა, ე. ლეონტიევა, მ. სარიჩევა.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის შერეული კომისიის მორიგი სხდომა

ბერლინი, 17 დეკემბერი. (საკ.სეს.). გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საკუთრებად 33 საბჭოთა საწარმოს უსასყიდლოდ გადამცემი საბჭოთა კავშირ-გერმანიის შერეული კომისიის მორიგი სხდომა.

სხდომა გაიმართა ქალაქ ლაინას ვ. ულბრიხტის სახელობის ლაინა-ვერკეს ქარხანაში, რომელიც გადაეცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საკუთრებად.

სხდომის წინ საბჭოთა კავშირ-გერმანიის შერეულ კომისიის წევრებმა ქარხნის დირექციასა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერეს ვ. ულბრიხტის სახელობის ქარხანა „ლაინა".

კომისიამ აღნიშნა, რომ ვ. ულბრიხტის სახელობის ქარხანა ლაინა-ვერკე კარგ ტექნიკურ მდგომარეობაშია. 1946 წლიდან დღემდე აქ ათვისებულია ბევრი ახალი სახეობის პროდუქცია, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

საწარმოს საამქროები და ელექტროსადგურები, რომელიც ომის დროს დაინგრა, აღდგენილი და მოდერნიზებულია, ამენდა და მოეწყო ახალი შენობები ახალგაზრდობის სკოლებისათვის, რომლებშიც 1.500 კაცი ისწავლის, და სამავშვო ბაღისათვის, გაფართოებულია პოლიკლინიკა, აღდგენილია დანგრეული საცხოვრებელი სახლები, თეატრი და საყოფაცხოვრებო შენობები. შენდება საზოგადოებრივ-ორგანიზაციათა სახლი.

სხდომაზე საბჭოთა კავშირ-გერმანიის შერეულ კომისიაში წარმომადგენელმა ხელმძღვანელმა სსრ კავშირისაგან ი. თ. სემიჩასტნომა და ხელმძღვანელმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისაგან ფრაც ზელმანმა ერთმანეთს გადასცეს წერილები იმის შესახებ, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას უსასყიდლოდ გადაეცა საკუთრებად ექვსი სამეცნიერო-ტექნიკური ბიურო და ერთი საკონსტრუქტორო ბიურო.

ფინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის შედეგების გამო

ჰელსინკი, 18 დეკემბერი. (საკ.სეს.). ფინეთში ამას წინათ დამთავრდა ფინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური, რომელიც მოეწყო „ფინეთ-საბჭოთა კავშირის" საზოგადოების ინიციატივით. საზოგადოების გენერალური მდივანი ტოივო კარვონენი დემოკრატიული პრესის ფურცლებზე მოგვითხრობს ერთთვიურის შედეგების შესახებ. კარვონენი აღნიშნავს, რომ წელს ერთთვიურს გაცილებით მეტი გაჭანება ჰქონდა, ვიდრე ჩვეულებრივ.

ერთთვიურის დროს ფინეთში იყო საბჭოთა მსახიობების დელეგაცია, რომლებმაც ფინეთის სხვადასხვა ადგილას გამართეს 19 კონცერტი. დაახლოებით ერთ თვეს იყო ფინეთში საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია, რომელმაც მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია. ერთთვიურის ბოლოს ფინეთში ჩამოვიდა საბჭოთა სტუდენტების დელეგაცია.

კარვონენი წერს, რომ საბჭოთა კავშირში ერთთვიურის დროს სტუმრად იყვნენ მუშათა დელეგაცია და კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია, ბოლოგოთა დელეგაცია, აგრეთვე ფიზკულტურის მასწავლებელთა დელეგაცია.

ერთთვიურის განმავლობაში „ფინეთ-საბჭოთა კავშირის" საზოგადოებამ სულ განაზორციელა თითქმის 1.700 სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის 906 კინოსეანსი, 215 მოხსენება, 177 დღესასწაული, რომელებსაც დაესწრო დაახლოებით 125 ათასი კაცი.

მოქანდაკე ვიაინე ალტონენმა შემოიტანა წინადადება დაიდგას ფინეთისა და საბჭოთა კავშირის საზღვარზე მონუმენტი, რომელიც ორი მეზობელი ხალხის მშვიდობისა და მეგობრობის სიმბოლო იქნება.

საბჭოთა მსახიობების კონცერტი პარიზში

პარიზი, 17 დეკემბერი. (საკ.სეს.). გუშინ პარიზის საზამთრო ველოდრომზე საზეიმო ვითარებაში გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა და ფრანგი მსახიობები, აგრეთვე პარიზის კონსერვატორიის სიმფონიური ორკესტრი და ხალხური სიმღერების გუნდი. კონცერტი მოაწყო ასოციაციამ „საფრანგეთი — სსრ კავშირი". სცენა მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ეროვნული ალმებით.

კონცერტის დაწყების წინ შეასრულეს საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ეროვნული ჰიმნები. საზამთრო ველოდრომზე შეიკრიბა 30 ათასი კაცი. ისინი მხურვალედ შეხვდნენ საბჭოთა მსახიობების იგორ ოისტრახის, ვალია იზმაილოვას, ზარა დოლუხანოვას, პიატნიცკის სახელობის გუნდის სოლისტ მოცეკვავეთა და სხვების გამოსვლებს. სიმფონიურმა ორკესტრმა შეასრულა ფრანგ და რუს კლასიკოსთა ნაწარმოებნი.

კონცერტი დიდი მოვლენა იყო საფრანგეთის დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. მან ცხადყო, რომ გაძლიერდა ფრანგ მშრომელთა ინტერესი სსრ კავშირის ხელოვნებისადმი და რომ ისინი ისწრაფვიან ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობა.

„პრავდა".

მაგრამ ეს იყო უფრო კეთილსინდისიერი ფოტოსურათი, რომელზეც ციფრებიც, ადამიანებიც თითქოს უძრავად გაჩერებულნან, და არა ცოცხალი მოძრავი სურათი, რომლითაც შეიძლება გაგება, რაზე ფიქრობენ ადამიანები, საით მიდიან, რის გაკეთებას აპირებენ. ნეველოვის სიტყვებში არ იგრძნობოდა ნამდვილი მგზნებარება. არ იყო მათში გამბედაობა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია პარტიული ხელმძღვანელი.

ეს იყო, ასე ვთქვათ, საშუალო დონის მოხსენება. უფრთო სიტყვა ადამიანისა, რომელსაც შეუძლია დათვლა, მაგრამ უნარი არ შესწევს ზევიდან დახედოს ციფრებსა და ფაქტებს, რათა თვალწინ გადაეშალოს მთელი სურათი და დანიახოს, რა უნდა აკეთოს ხვალ.

ასეთი მოხსენების შემდეგ კონფერენციაზე კამათიც უღიმღამოდ მიმდინარეობდა. უხალისოდ იღებდნენ სიტყვას, გაუბედავად გამოდიოდნენ. ამიტომ კი არა, რომ არ მოიპოვებოდნენ გაბედული, მოაზროვნე ადამიანები, რომელსაც არ მოსწონდათ, როგორ ხელმძღვანელობენ ნეველოვი და მოლჩანოვი სოფლის მეურნეობას, როგორ ზრდიან კადრებს. მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ არის კრებები, რომლებზეც ყველაზე გაბედული ადამიანებიც კი ვერ იტყვიან ყველაფერს.

იქნებ ასეც დამთავრებულიყო კონფერენცია — არც ცუდად, არც კარგად — იმავე საშუალო დონეზე, როგორც შარშან, ამას რომ არ დამთხვეოდა ის, რომ ამ დღეებში რაიონამდეც მოაღწია ცნობამ სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ, რომელიც მაცოცხლებელი სიოსავით მოიარა ჩვენი ქვეყანა, აფორიაქა ადამიანები და გული გაუთბო საკოლმეურნეო წყობილების პარტიულ და უპარტიო ენთუზიასტებს.

დილით და დღისით მოსკოვის რადიოს დიქტორმა რამდენჯერმე გადმოსცა ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება, ხოლო საღამოს გემმა ქალაქიდან მოიტანა საოლქო გაზეთის ნომრები, რომლებშიც დაბეჭდილი იყო გადაწყვეტილებათა სრული ტექსტი.

„...ჩვენი პარტიის ძალა და უძლეველობა ხალხთან მისი სისხლხორცეული და განუყოფელი კავშირია", — ნათქვამია პარტიის წესდებაში. ამჯერადაც ის, რაც დიდიხანია მწიფდებოდა და რისთვისაც გული სტკიოდათ ადამიანებს, დაემთხვა იმას, რაზეც ფიქრობდნენ ზევით, პარტიის ხელმძღვანელობაში. და უნდა გენახათ, რა აღფრთოვანებით შეხვდა ერთმანეთს ეს — ზევიდან და ქვევიდან მომდინარე აზრი ჩვეულებრივ სასოფლო რაიონში პარტიულ კონფერენციაზე.

თითქოს ლანქერს კაშხალი გაერღვიოსო, ზედიზედ დაიწყეს ჩაწერა დელეგატებმა კამათში გამოსასვლელად, ცხარედ, გზნებით ალაპარაკდნენ.

სტეპან ტიხონოვიჩმაც ითხოვა სიტყვა. მანამდე აგი დარბაზში ერთ-ერთ უკანასკნელ რიგში იჯდა ისე, როგორც მას ჩვეულებრივად ხედავდნენ ბოლო დროს — გულგრილად თავდაყრდნობილი ხელზე. როცა გაზეთი ჩაუკარდა ხელში, ერთბაშად გამოცოცხლდა, გაფაციცებით დაიწყო კითხვა, გულგრილობამ უცებ გაუარა. სტეპან ტიხონოვიჩი კითხულობდა შუბლშეკეცილი, ტუჩებს ატოკებდა, სახეზე ბავშვური ღიმი გადაეკრა.

ამის შემდეგ სიტყვა ითხოვა. ავიდა ფიცრის ტრიბუნაზე, თვალი მოავლო დარბაზს, და უცებ ყველამ იცნო წინანდელი სტეპან ტიხონოვიჩი.

— ამხანაგებო, — თქვა მან, — ეს ხომ ის არის, რაზეც ჩვენ თვითონ ვფიქრობდით, რასაც ველოდით. და ამის შემდეგ, — მიბრუნდა იგი პრეზიდიუმისაკენ, — ჩვენი ერთად ცხოვრება, ბაველ ივანოვიჩ, ყოველად შეუძლებელია.

— რაო? — ერთბაშად ვერ მიხვდა ნეველოვი.

დარბაზი დაიძაბა. კლუბის ღია ფანჯრებში შემოისმა მდინარეზე მიმავალი გემის ხმაური.

— მე ვამბობ, — ხმა აიმაღლა სტეპან ტიხონოვიჩმა, — რომ თქვენ საშუალო დონის ადამიანი ხართ. ახლა კი ჩვენი ცხოვრება აი როგორ დონეზე უნდა წავიდეს! — და მან განაბული დარბაზის წინაშე მაღლა ასწია ხელში ჩაპღუჯული გაზეთი.

— ფაქტებია საჭირო, ფაქტები, — წამოიძახა პრეზიდიუმიდან მოლ

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 17 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ უშიშროების საბჭო განიხილავდა სირიის საჩივარს ისრაელის წინააღმდეგ იმ სამუშაოებთან დაკავშირებით, რომლებიც ისრაელმა დაიწყო დემილიტარიზებულ ზონაში არხის გასაყვანად.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციებმა ერთობლივი რეზოლუციის პროექტი შეიტანეს განსახილველ საკითხზე. პროექტი შეიცავს მოწოდებას სირიისა და ისრაელის მთავრობებისადმი — დაიცვან 1949 წელს მათ მიერ ხელმოწერილი დაზავება და ითანამშრომლონ დაზავების პირობების შესრულების მეთვალყურე ორგანიზაციის შტაბის უფროსთან. შტაბის უფროსს ევალება „შეისწავლოს, შესაძლებელია თუ არა ამ დავაში აღძრული ინტერესების (სირიასა და ისრაელს შორის. — **რედ.**) შერიგება და გადადგას საჭირო ნაბიჯები ამ მიმართულებით“.

შემდეგ შტაბის უფროსს წინადადება ეძლევა „90 დღის განმავლობაში წარუდგინოს უშიშროების საბჭოს მოხსენება, თუ რა ღონისძიებანი განხორციელდება ამ რეზოლუციის შესასრულებლად“.

სხდომაზე გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები, რომლებმაც მოუწოდეს საბჭოს წევრებს მხარი დაუჭირონ მათს რეზოლუციის პროექტს. ამასთან ინგლისისა და საფრანგეთის დელეგატებმა იმედი გამოთქვეს, რომ ისრაელი დემილიტარიზებულ ზონაში მუშაობას არ განაახლებს, სანამ ამის ნებართვა არ იქნება მიღებული დაზავების პირობების შესრულების მეთვალყურე ორგანიზაციის შტაბის უფროსისგან. ისრაელისა და სირიის დელეგატებმა განაცხადეს, რომ ამ საკითხზე სიტყვას იღებენ 17 დეკემბერს.

ავსტრიის პარლამენტში

ვენა, 17 დეკემბერი. (საკდესი). ავსტრიის პარლამენტში დამთავრდა კამათი 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გამო. უკანასკნელ საკითხად განხილულ იქნა ბიუჯეტის მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ასიგნობებს ნაციონალიზებული საწარმოებისათვის.

კამათში გამოვიდა, კერძოდ, ავსტრიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე კოპელეგი.

კოპელეგმა მოითხოვა, რომ პარლამენტმა მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ აიკრძალოს წარმოების შემცირება ნაციონალიზებულ საწარმოებში და შეწყდეს დათხოვნა. გარდა ამისა მან მოითხოვა, რომ მთავრობამ მეწარმეთა ორგანიზაციებთან და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან მოლაპარაკების გზით მიაღწიოს იმას, რომ ეს გადაწყვეტილება გავრცელდეს კერძო საწარმოებზე.

კოპელეგის შემდეგ გამოსულმა სოციალისტური პარტიის დეპუტატებმა სცადეს ნაციონალიზებულ საწარმოთა მშრომელებში უმუშევრობის ზრდა იეხსნათ „გარდუვალი ოუცილებლობით“. „სახალხო პარტიისა“ და „დამოუკიდებელთა კავშირის“ წარმომადგენლებმა მოითხოვეს ამ საწარმოების გადაცემა კერძო მფლობელებისათვის.

კამათის დამთავრების შემდეგ პარლამენტმა მთავრობის პარტიების — სახალხო და სოციალისტური პარტიების ხმებით ავსტრიის სახალხო ოპოზიციისა და დამოუკიდებელთა ხმების წინააღმდეგ მცირეოდენი შესწორებებით დაამტკიცა ავსტრიის 1954 წლის ბიუჯეტი.

ბიუჯეტი ითვალისწინებს გასავალს 21.351.008 ათას შილინგს. და შემოსავალს — 20.696.396 ათას შილინგს. გარდა ამისა, ეგრეთწოდებული „საგანგებო ბიუჯეტი“ ითვალისწინებს ხარჯებს 1.060.046 ათასი შილინგის ოდენობით. ავსტრიის ბიუჯეტის დეფიციტი 1954 წელს შეადგენს 1.714.658 ათას შილინგს.

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები

პარიზი, 17 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ვერსალის სასახლეში გაიხსნა საფრანგეთის პარლამენტის ორივე პალატის გაერთიანებული სხდომა, რომელმაც უნდა აირჩიოს საფრანგეთის რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი ვენსან ორიოლის (სოციალისტი) ნაცვლად, რომლის რწმუნების ვადა გავიდა.

ამჟამად ცნობილია, რომ შემდეგმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა წამოაყენეს თავიანთი კანდიდატურები რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე: მარსელ კაშენმა (კომუნისტი), ნეელემა (სოციალისტი), დელბოსმა (რადიკალი), მედესენმა (რადიკალების მომხრე), ლანიელმა („დამოუკიდებელი რესპუბლიკელი“), ფურკადმა („დამოუკიდებელი რესპუბლიკელი“), ჟორჟ ბიდომ („სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობა“) და პოლ კალბმა („სოციალური მოქმედების რესპუბლიკური კავშირი“). ამ კანდიდატურებს კენჭს უყრიან პირველ ტურში. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ, თუ პირველ ტურში პრეზიდენტი არ იქნა არჩეული, დაასახელებენ ახალ კანდიდატურებს.

არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს აბსოლუტურ უმრავლესობას, ე. ი. პარლამენტის იმ წევრთა ხმების ნახევარზე მეტს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კენჭისყრაში.

აბსოლუტური უმრავლესობა შეადგენს 474 ხმას (არჩევნებში მონაწილეობას იღებს 947 ამომრჩეველი — ეროვნული კრების 627 დეპუტატი და რესპუბლიკის საბჭოს 320 წევრი. კენჭისყრა ფარულია. კანდიდატურების განხილვა არ ხდება.

16 საათზე (მოსკოვის დროით) დაიწყო კენჭისყრის პირველი ტური.

პარიზი, 17 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო ვერსალიდან იუწყება, გამოცხადდა რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებში კენჭისყრის პირველი ტურის შედეგები.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 932 კაცმა; 928 ბიულეტენი ცნობილ იქნა კანონიერად. ამრიგად, აბსოლუტური უმრავლესობა შეადგენს 465 ხმას.

მარსელ ნეელემა (სოციალისტი) მიიღო 160 ხმა, ჟოზეფ ლანიელმა („დამოუკიდებელი რესპუბლიკელი“) — 155, ჟორჟ ბიდომ „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობა“) — 131, ივონ დელბოსმა (რადიკალ-სოციალისტი) — 129, პოლ კალბმა („სოციალური მოქმედების რესპუბლიკური კავშირი“) — 114, მარსელ კაშენმა (კომუნისტი) — 113, ჟაკ ფურკადმა („დამოუკიდებელი რესპუბლიკელი“) — 62, ჟან მედესენმა (რადიკალ-სოციალისტების მომხრე) — 54, სხვა კანდიდატებმა — 10 ხმა. მაშასადამე, ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო საჭირო უმრავლესობა. კენჭისყრის მეორე ტური დაიწყება 22 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით.

გაოდაელთა მთავრობის გადადგომა

პარიზი, 17 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტოს საიგონელი კორესპონდენტის ცნობიდან ჩანს, 17 დეკემბერს ბაოდაელთა მთავრობა პრემიერ-მინისტრ ნგუენ ვან ტამის მეთაურობით გადადგა.

ბაო დაიმ თავის უმაღლეს კომისარს საფრანგეთში პრინც ბუუ ლოკს დაავალა ახალი მთავრობის შედგენა.

ბაოდაელთა მთავრობის გადადგომის მიზეზი, როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს საიგონელი კორესპონდენტი იუწყებოდა, არის უთანხმოება ნგუენ ვან ტამსა და ბაო დაის შორის იმის გამო, თუ „როგორ უნდა შეხვდნენ ვიეტმინის (ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის — **რედ.**) ამასწინანდელ წინადადებებს ინდოჩინეთში ომის შეწყვეტის მიზნით მოლაპარაკების შესახებ“.

ნგუენ ვან ტამის მთავრობის გადადგომა ამერიკის შეერთებული შტატების ჩაურევლად არ მომხდარა. როგორც რეიტერის სააგენტოს საიგონელი კორესპონდენტი იუწყებოდა, 17 დეკემბერს პრემიერ-მინისტრმა ნგუენ ვან ტამმა განაცხადა, რომ არავიეტნამელი ეროვნების „მაღალი თანამდებობის პირი“ არაერთხელ ჩასრდა საქმეში და სთხოვა ბაო დაის შეეცვალა მთავრობის შემადგენლობა. ამერიკელთა ჩარევის შესახებ საფრანგეთი გარკვევით იუწყებოდა აგრეთვე გაზეთი „ფრანს სუარი“... „ბაო დაისათვის, — წერდა გაზეთი, — პრობლემის არსი დამოკიდებულია... უმთავრესად გავლენაზე, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ალბათ მოახდენენ საფრანგეთზე, რათა ხელი შეუშალონ მოლაპარაკებას... იქმნება შთაბეჭდილება, რომ მან ამ მხრივ შეერთებული შტატების დაპირება მიიღო“.

პაკისტან-ამერიკის სამხედრო შეთანხმების წინააღმდეგ

გოპალანის განცხადება

პეკინი, 16 დეკემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტოს კორესპონდენტი დელიდან იუწყება, ინდოეთის პარლამენტის კომუნისტური ფრაქციის ლიდერმა ა. კ. გოპალანმა სიტყვა წარმოთქვა 100-ათასიან მიტინგზე კეილონში (ტრავანკორ-კოჩინის შტატი) და გააკრიტიკა ამერიკა-პაკისტანის განზრახული სამხედრო პაქტი. გოპალანმა თქვა: „ამერიკის იმპერიალიზმი აზიის ქვეყნების საშინაო საქმეებში ერევა“. მან აღნიშნა, რომ ამერიკის იმპერიალიზმი ძლიერ ცდილობს შექმნას აზიის ქვეყნებში ბაზები თავისი ინტერესების დასაცავად, რითაც საფრთხეს უქმნის აზიის მშვიდობას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის იმპერიალიზმი, რომელიც ნამდვილი საფრთხეა აზიის ქვეყნებისათვის, ახლა ფულადსა და სამხედრო დახმარებას პპირდება ამ ქვეყნებს, რათა იქ თავისი ბაზები შექმნას.

ამერიკის მხარე აღღვევს კორეაში დაზავების შეთანხმებას

პეკინი, 17 დეკემბერი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კესონდან იუწყება:

16 დეკემბერს დაზავების სამხედრო კომისიის მდივნების სხდომაზე კორეა-ჩინეთის მხარის წარმომადგენელმა პოლკოვნიკმა ეუ იონმა პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის მხარემ კვლავ დაარღვია დაზავების შეთანხმება. ამ უკანასკნელ დღეებში ამერიკის მხარის თვითმფრინავებმა შვიდჯერ დაარღვიეს დემილიტარიზებული ზონის საზღვრები.

დაზავების ხელმოწერის მომენტიდან ამერიკის თვითმფრინავებმა სულ 110-ჯერ დაარღვიეს კორეა-ჩინეთის მხარის საჰაერო საზღვრები.

ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 17 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ თემთა პალატაში გაიმართა კამათი ლეიბორისტული ოპოზიციის მიერ შეტანილი რეზოლუციის შესახებ, რომელიც უნდობლობას უცხადებს კონსერვატიულ მთავრობას ინგლისის აფრიკის კოლონიებში მისი პოლიტიკის გამო.

ეს რეზოლუცია შეტანილ იქნა იმის ზეგავლენით, რომ ლეიბორისტული პარტიის რიგითი წევრები დიდად აღშფოთებული არიან სამხედრო რეპრესიებით ზანგების წინააღმდეგ, კერძოდ კენიაში. ოფიციალური ცნობების თანახმად, ინგლისის ჯარებმა გაჟლიტეს 500 ზანგი. ამას წინათ გაასამართლეს ინგლისის არმიის ოფიცერი, რომელსაც ბრალდებოდა ზანგის მოკვლა. ამ გასამართლებამ ბევრი ლეიბორისტი დაარწმუნა, რომ ინგლისის ჯარები მხეცობას სჩადიან ზანგების მიმართ. კოლონიების მინისტრმა ლიტლტონმა 16 დეკემბერს თემთა პალატაში აღიარა, რომ მარტო კენიაში შარშანდელი „არეულობის“ დროს დაუპატიმრეს 150 ათასზე მეტი ზანგი, ამასთან 12 ათასი დღემდე დაპატიმრებულია.

ლეიბორისტების რეზოლუცია უარყოფილ იქნა 301 ხმით 273 ხმის წინააღმდეგ.

ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობანი ირანში

ლონდონი, 17 დეკემბერი. (საკდესი). ინგლისის პრესა იუწყება, რომ ამ უკანასკნელ დღეებში ლონდონში მიმდინარეობდა რვა უდიდესი ნავთობის კომპანიის წარმომადგენელთა თათბირი. განიხილავდნენ საკითხს, თუ როგორ უნდა მოეწყოს ირანის ნავთობის გასაღება ინგლისსა და ირანს შორის დავის გადაჭრის შემთხვევაში. ამ თათბირში მონაწილეობას იღებდნენ ამერიკისა და ინგლისის კომპანიების, ყოფილი ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიის წარმომადგენლები, აგრეთვე საფრანგეთის ნავთობის კომპანია „კომპანი ფრანსეზ დიუ პეტროლის“ წარმომადგენელი.

როგორც „ფაინენშლ ტაიმსი“ იუწყება, თათბირის მონაწილენი შეთანხმდნენ შეიქმნას ირანის ნავთობის გამსაღებელი საერთაშორისო კონსორციუმი.

გაზეთი „ფაინენშლ ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ ნავთობის კონფლიქტთან დაკავშირებით ინგლისისა და ირანის მთავრობებს შორის მოლაპარაკების ძირითადი საკითხია ის, თუ მომავალში ირანიდან გატანილი ნავთობის რა ნაწილი უნდა იქნას ანაზღაურებული დოლარით და რა ნაწილი სტერლინგით. აღნიშნავს რა, რომ „მთელ შუა აღმოსავლეთში ნავთობის რაოდენობა, რომლის ანაზღაურება ხდება სტერლინგის ვალუტით, მკვეთრად შემცირდა“, მაშინ როცა ამერიკის კომპანიების მიერ ნავთობის ამოღება და გაყიდვა „მკვეთრად გადიდდა“, გაზეთი კითხულობს: უნდა შეურიგდნენ თუ არა ინგლისის კომპანიები მომავალში უმცროსი პარტნიორის მდგომარეობას?

მოსადიკის გასამართლება

თეირანი, 17 დეკემბერი. (საკდესი). მოსადიკის საქმის გამო სამხედრო სასამართლოს 14 დეკემბრის სხდომაზე მოსადიკს მიეცა უფლება წარმოთქვა სიტყვა თავის დასაცავად. სასამართლოს თავმჯდომარემ თქვა, მოსადიკის სიტყვა მხოლოდ იმ ამბებს უნდა შეეხებოდეს, რომლებიც 1953 წლის 16-დან 19 აგვისტომდე მოხდაო.

15 დეკემბრის სხდომაზე სასამართლოს თავმჯდომარემ გაიფრთხილა მოსადიკი, რომ იგი თავის სიტყვაში აღარ შეეხოს შაჰის ფირმანის საკითხს, რადგან სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით „კომპეტენტურობის შესახებ“ ცნო, რომ შაჰის ფირმანს პრემიერ-მინისტრის პოსტიდან მოსადიკის გადაყენების შესახებ კანონიერი ძალა აქვს.



ახალი პროგრამა თბილისის სახელმწიფო ცირკში. **სურათებზე:** მარცხნივ — მსახიობ კრიხელების აკრობატიკული ეტიუდი. მარჯვნივ — რსფსრ სახალხო არტისტ ვლადიმერ დუროვის მიერ გაწვრთნილი სპილო ასრულებს მორიგ ნომერს.

ფოტო გ. ვახტანგაძისა და ვლ. ზარიძისა.

ექიმთა სამეცნიერო კონფერენციები

წყალტუბო. („კომუნისტის“ კორ.). კურორტ წყალტუბოში გაიმართა ი. პ. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრებისადმი მიძღვნილი ექიმთა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც გახსნა პავლოვის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. რ. მესხრიკაძემ. მოხსენებები წაიკითხეს: კურორტის მთავარმა ექიმმა გ. ბოლქვაძემ, კურორტოლოგიის ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალის მეცნიერმა თანამშრომელმა ლ. ძიძიგურამა, კურორტოლოგიის ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალის მეცნიერმა თანამშრომელმა ფ. ვეტროგონმა, ამავე ფილიალის მეცნიერმა თანამშრომელმა შ. ბრეგვაძემ და სხვ.

ლაგოდეხი. (საკ. კორ.). ლაგოდეხში გაიმართა ექიმთა სარაიონთაშორისო XX კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სიღნაღის, ლაგოდეხის, წითელწყაროს და ყვარლის რაიონების ექიმებმა. მათ წაიკითხეს მოხსენებები თავიანთ რაიონებში ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობისა და სოფლის მედიცინის მუშაკთა წინაშე დასახული ამოცანების საკითხებზე. მოხსენებებით გამოვიდნენ აგრეთვე მეცნიერი მუშაკები.

მსუბუქი და სატვირთო ტაქსები

დღითიდღე იზრდება და ფართოვდება ქალაქი თბილისი. მის მრავალფეროვან ტრანსპორტთან ერთად იზრდება ქალაქის ერთ-ერთი მეტად მოსახერხებელი სატრანსპორტო საშუალების — ტაქსის რაოდენობა.

ქალაქში დილის 6 საათიდან ნაშუალამევამდე მუშაობს „პობედის“ მარკის 180 მსუბუქი მანქანა-ტაქსი, რომლებსაც ყოველდღიურად ათასობით მგზავრი გადაჰყავთ. ტაქსების სადგომად მოედნებსა და ხალხმრავალ ადგილებში — ლენინის, კარლ მარქსის, რუსთაველის, შაუმიანის, მარჯანიშვილის მოედნებზე, სასტუმრო „თბილისთან“ და სხვ. გამოყოფილია 20 ადგილი.

მძიმე საგნების გადასატანად ქალაქის მშრომელებს ემსახურება აგრეთვე 19 საბარგო ტაქსი. მიღებულია კიდევ 32 მსუბუქი და 9 საბარგო ტაქსი, რომლებიც ამ დღეებში დაიწყებენ მუშაობას.

ლექტორიუმი მტს-ში

ასპინძა. („კომუნისტის“ კორ.). საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების რაიონულმა განყოფილებამ ასპინძის მანქანა-ტრაქტორთა სადგურთან შექმნა ლექტორიუმი, რომელშიც გაერთიანებული არიან სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და ინჟინრები. დ. ცაგარეიშვილი, ვ. ჟორჟოლიანი და სხვები ამზადებენ ლექციებს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების სხვადასხვა საკითხებზე.

გაიმართა პირველი ლექცია თემაზე „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის პროგრამაა“. ლექცია წაიკითხა გ. ჭიღვარიამ.

კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა სწავლება

ლენინგორი. (საკ. კორ.). რაიონში ფართოვდება კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. ამ პასუხსაგებ უბანზე სამუშაოდ მოდდან ახალი ადამიანები, რომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის სისტემატურად ხორციელდება ღონისძიებანი.

ამას წინათ რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებამ მოაწყო კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა სემინარი, რომელზეც წაკითხულ იქნა ლექციები, მსმენელებს განემარტათ მუშაობის პრაქტიკულად მოწყობის საკითხები.

ჩემპიონები კლასიკურ ჭიდაობაში

დამთავრდა საქართველოს პროფსაბჭოს პირად-გუნდური პირველობის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში „ისკრის“, „ნაუკის“, „მედიკის“ და სხვა სასპორტო საზოგადოებათა უძლიერესი მოჭიდავეების მონაწილეობით.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული გამოვიდა „ისკრის“ სპორტსმენთა კოლექტივი, რომელიც ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

პირადი პირველობის გათამაშებაში წონის მიხედვით საქართველოს პროფსაბჭოს ჩემპიონები გახდნენ: ა. კეკუა, ბ. ზარქუა, გ. ჩიტიაშვილი, გ. ყიფშიძე, გ. ბარბაქაძე, ვ. მაისურაძე, გ. კარტოზია და ვ. ბათლიძე.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

ვიეტნამში კოლონიური ომის შეწყვეტისათვის

პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესმა, რომელიც მიმდინარე წლის ოქტომბერში შედგა, 19 დეკემბერი ვიეტნამელ ხალხთან აქტიური სოლიდარობის საერთაშორისო დღედ, ვიეტნამში კოლონიური ომის შეწყვეტისათვის ბრძოლის დღედ გამოაცხადა.

1945 წლის 2 სექტემბრიდან ამაყად ფრიალებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ძლევამოსილი დროშა. ფრანგმა კოლონიზატორებმა დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებისთანავე გააჩაღეს აგრესიული ომი ინდოჩინეთში და მას შემდეგ ყველა საშუალებას მიმართავენ, რათა თავისუფლება და დამოუკიდებლობა წაართვან მშვიდობისმოყვარე ვიეტნამელ ხალხს.

საფრანგეთის 300-ათასიანი არმია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ეწევა კოლონიურ ომს, რომელშიც მონაწილეობს საფრანგეთის არმიის ოფიცერთა შემადგენლობის ერთი მეოთხედი და უნტერ-ოფიცერთა შემადგენლობის — 42 პროცენტი. ომში ჩაბმულია საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ფლოტის ერთი მესამედი. აგრესიულ ომში აგრეთვე მონაწილეობენ ვიეტნამელი ხალხის მოღალატის ბაო დაის ჯარები.

ფრანგმა ხელისუფლებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ იწყებდნენ „უკანასკნელ“ შეტევას ვიეტნამის სახალხო არმიის წინააღმდეგ, მაგრამ მათი ყველა ცდა მარცხით დამთავრდა. 280 ათასზე მეტი ფრანგი ჯარისკაცი და ოფიცერი დაიღუპა ამ ბრძოლებში; სახალხო არმია კი სულ უფრო ძლიერი და ბრძოლისუნარიანი ხდება.

ამერიკელ იმპერიალისტთა წაქეზებით ფრანგი კოლონიზატორები განაგრძობენ ამ უსამართლო და უპერსპექტივო ომს, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს საფრანგეთის მშრომელ მოსახლეობას.

ფრანგი ხელისუფლები ხანგრძლივად ემზადებოდნენ შეტევისათვის, რომლის განხორციელებაც მიმდინარე წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში სცადეს. ნინ-ბინის რაიონში დაწყებული ეს შეტევა მათივე აღიარებით იყო „ყველაზე მძლავრი შეტევა ინდოჩინეთში ომის დაწყების მომენტიდან“. როცა სახალხო არმიის ნაწილებმა მოწინააღმდეგე შეაჩერეს და აიძულეს უკან დაეხია, საფრანგეთის ჯარების მთავარსარდალმა ნავარამ ძალები დადაჯგუფა და 25 ოქტომბერს კვლავ სცადა დიდი შეტევა განეხორციელებინა ნინ-ბინის სამხრეთით. მან გამოიყენა მოტორიზებული ნაწილები, არტილერია, ავიაცია. მაგრამ ეს ავანტიურისტული ღონისძიებაც სამარცხვინოდ ჩაიფუშა. ინტერვენტებმა ბრძოლის ველზე 3.800-ზე მეტი კაცი დატოვეს და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

მიმდინარე წლის ათ თვეში ფრანგმა კოლონიზატორებმა ინდოჩინეთში დაკარგეს 55.988 ჯარისკაცი და ოფიცერი. აქედან მოკლულია 40.368 კაცი. ვიეტნამის სახალხო არმიამ ამ პერიოდში ხელთ იგდო 8.324 შაშხანა, 2.866 ტყვიამფრქვევი, 146 ნარმსატყორცნი და ქვემეხი, 363 ტონა სამარი მასალა და საჭურველი, მოსპო მოწინააღმდეგის 23 თვითმფრინავი, 96 ტანკი, 40 ლოკომოტივი და სხვ.

ვიეტნამის სახალხო არმიის გამარჯვებათა მთავარი პირობა ის არის, რომ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებს მთელი მოსახლეობა, ამ განმათავისუფლებელი ბრძოლის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია ვიეტნამის მშრომელთა პარტია, რომელსაც ნაკადი ბელადი, რესპუბლიკის პრეზიდენტი ხო ში მინი ხელმძღვანელობს. ვიეტნამის ეროვნული ფრონტი 12 მილიონ კაცს აერთიანებს.

ვიეტნამის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მნიშვნელოვნად იცვალა სახე. მიწები გლეხებს გადაეცა, მშრომელთა საარსებო დონე ამაღლდა. კოლონიზატორთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფ მუშებთან შედარებით, დემოკრატიული რესპუბლიკის მუშები ხუთჯერ მეტ ხელფასს იღებენ. წარმატებით ვითარდება ეროვნული კულტურა: თუ 1938 წელს ინდოჩინეთში სულ 4 საშუალო სკოლა იყო, ახლა რესპუბლიკაში რამდენიმე ათასი დაწყებითი და საშუალო სკოლაა, გახსნილია 4 ინსტიტუტი და უნივერსიტეტი.

ვიეტნამელ ხალხს სურს მშვიდობიანად იცხოვროს, აშენოს ბედნიერი და საამური ცხოვრება. მის ამ კეთილშობილურ მისწრაფებას მხარს უჭერს მთელი პროგრესული კაცობრიობა. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირ ხალხს თვით ფრანგი ხალხიც თანაუგრძნობს. საფრანგეთის მშრომელებს პარიზის კომუნართა ხსოვნის შეურაცხყოფად მიაჩნიათ ინდოჩინეთში გაჩაღებული კოლონიური ომი, ისინი პროტესტს აცხადებენ ამ „ბინძური ომის“ წინააღმდეგ, მოითხოვენ ფრანგი ჯარისკაცების შინ დაბრუნებას. არა მარტო მშრომელები, არამედ საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეებიც რწმუნდებიან, რომ ეს უპერსპექტივო ომი დიდი უბედურებაა საფრანგეთისათვის, რომ მას ბოლო უნდა მოეღოს.

კორეაში საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ კაცობრიობა განიმსჭვალა ღრმა რწმენით, რომ შესაძლებელია სადავო საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტა მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით. მსოფლიოს ასეულ მილიონობით ადამიანი აღფრთოვანებულია საბჭოთა მთავრობის ბრძნული სამშვიდობო პოლიტიკით და აქტიურად უჭერს მხარს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებას ყველა სადავო საერთაშორისო საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ.

ინდოჩინეთის საკითხის მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გადაჭრისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პრეზიდენტ ხო ში მინის 29 ნოემბრის ინტერვიუს შვედური გაზეთის „ექსპრესენისადმი“. ხო ში მინმა განაცხადა: „თუ ფრანგმა კოლონიზატორებმა თავიანთი დამპყრობლური ომი განაგრძეს, ვიეტნამელი ხალხი მტკიცე გადაწყვეტილებით განაგრძობს პატრიოტულ ომს გამარჯვებამდე. ხოლო თუ საფრანგეთის მთავრობამ შეიგნო რამდენიმე წლის ომის გაკვეთილი და სურს გამოაცხადოს დრეობითი ზავი და მოლაპარაკების გზით გადაჭრას ინდოჩინეთის საკითხი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და ხალხი მზად არიან განიხილონ საფრანგეთის წინადადება“. 14 დეკემბერს პრეზიდენტმა ხო ში მინმა ეს განცხადება კვლავ გაიმეორა ვიეტნამელი ხალხისადმი მიმართვაში.

საფრანგეთის გაზეთები ფართოდ გამოეხმაურნენ ხო ში მინის განცხადებას. პროგრესული გაზეთები წერენ, რომ ფრანგ ხალხს მშვიდობა სურს, რომ ხო ში მინის განცხადების შემდეგ დუმილი შეუძლებელია, საკითხი უნდა გადაიჭრას მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით.

ფრანგი ხალხის ასეთი განწყობილება აშინებს ამერიკელ იმპერიალისტებს, რომლებსაც მშვიდობა არა სურთ. ამას მოწმობს შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯონ ფოსტერ დალესის განცხადება პრეს-კონფერენციაზე პარიზში. დალესი აშკარად დაემუქრა საფრანგეთის მთავრობას, რომ, თუ იგი ხელს არ მოაწერს ხელშეკრულებას ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ, შეერთებული შტატები „ტრაგიკულად შეცვლიან“ პოლიტიკას. მის განცხადებაში იგრძნობოდა დაჟინებითი მოთხოვნა განაგრძონ კოლონიური ომი ინდოჩინეთში.

ძნელია იმის თქმა, თუ რა გავლენას მოახდენენ ამერიკელი იმპერიალისტები საფრანგეთის მთავრობაზე, რა გზას აირჩევენ ფრანგი კოლონიზატორები. ერთი რამ კი ცხადია: ფრანგი ხალხი მტკიცედ უჭერს მხარს ინდოჩინეთის საკითხის მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გადაჭრას და მოითხოვს კოლონიური ომის შეწყვეტას.

— ხელები შორს ვიეტნამისაგან!

— შეწყვიტეთ ინდოჩინეთში გაჩაღებული კოლონიური ომი! — ასეთია პროგრესული კაცობრიობის მოწოდება.

ა. ჩავლეიშვილი.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

დღეს და ყოველდღე

რსფსრ სახალხო არტისტის

ვლადიმერ დუროვის ბესტიარები

თავისი გაწვრთნილი ცხოველებით

და დიდი საცირკო პროგრამა

ახლად ჩამოსულ მსაბიობთა მონაწილეობით.

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

კვირას, 20 დეკემბერს,

დღის 2 საბავშვო წარმოდგენა

დასაწყისი I—12 ს., II—3 ს.

ბილეთები იყიდება საცირკის სალაროებში და რუსთაველის პროსპ. № 1, 24 და პლეხანოვის პროსპ. № 97. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ДЕСЪ ТЕАТРЕБЪСА ДА КИНОЕБЪ

Рустаовелиｌ сахелｌобаｌ — аｌｌаｌｌагъ-рда масъｌъｌｌｌ